ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 2019

№282 (8236)

ფასი: 60 თეთრი

## სისხლიანი დაპირისპირება პანქისის ხეობაში

არიან დაჭრილები, დაღუპულია ერთი ადამიანი



გვ.5

26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

**საგანძური**




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

# ზურაბ ბუდაღაშვილი: „თუ არ ვიტყოდი ოქრუაშვილზე, მელიასა და უგულავაზე იმას, რაც მათ უნდოდათ, პრობლემებს შემიქმნიდნენ“



გვ.5



## „საქართველოში მოსალოდნელია სოციალური აჯანყება, რომელიც აქამდე არასდროს მომხდარა“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „ივანიშვილი „ოცნების“ ელიტის ფინანსური მაქინაციებით უნდა დაინტერესდეს“



## ვახტანგ ხმალაძე: „გერმანული მოდელის შემოღება საარჩევნო კოდექსით შეიძლება და საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდება“



გვ.3



## „არ ვიცი, მიტინგებზე ასე ცოტა ხალხი რატომ არის“

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ნერვების ომია“



## თამაზ ბაკურიძე: „აჭარა ეკონომიკურად თურქეთის გავლენის ქვეშ არის“

გვ.4

## ცხინვალის რეჟიმი ქართველების წინააღმდეგ იტალიელ იურისტებს იყენებს

გვ.4



## გომელაური ლარს ვესტბრაფს შეხვდა



გვ.2

ISSN 1987-9385

2 ვალერი გელბახიანი: „სააკაშვილს უკრაინაში შესაძლოა ძალიან მაღალი თანამდებობა მისცენ“

5 ცაგერში 2 პოლიციელი მოკლეს

1 მათგანი დეპუტატ კარლო კოპალიანის ახლობელია

2 გია ვოლსკი: „შექმნილ ვითარებაში კომპრომისი არ ჩანს“

6 მერკელი: „ამ ეტაპზე ევროპა თავს მარტო ვერ დაიცავს“

# „საქართველოში მოსალოდნელია სოციალური აჯანყება, რომელიც აქამდე არასდროს მომხდარა“

## დავით ჭიჭინაძე: „ივანიშვილი „ოცნების“ ელიტის ფინანსური მაქინაციებით უნდა დაინტერესდეს“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო დავით, რას ელით ოპოზიციისა და ხელისუფლებისგან, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?***

– პროცესი ჩიხშია შესული. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს მის მიერვე დაშვებულ შეცდომას. „ქართული ოცნება“ ქუჩაში გამოსული ხალხის რაოდენობით აზროვნებს და ამის მიხედვით საზღვრავს. თითქოს ბრძოლა საარჩევნო კანონთან დაკავშირებით მიმდინარეობს, მაგრამ საარჩევნო კანონი ხომ ერთ-ერთი საბაბია.

მე ვფიქრობ, ოპოზიციამ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა, როდესაც მთელი აქცენტი კანონმდებლობაზე გადაიტანა. ადამიანების გასაჭირი ხომ კანონმდებლობამდე ვერ დაიყვანება. ადამიანები სიდუხჭირეს, გაუსაძლის ყოფას ვერ აღწევენ თავს. ეს არის პრობლემა.

დროში იწელება ეს ყველაფერი. ხელისუფლება გვეუბნება, რომ თემა დახურულია, კანონმდებლობას არ ცვლის და ის ნაპერწკალი, რომელიც ამ საპროტესტო მუხტს უნდა ჰქონოდა, ვერ ღვივდება. ეს პროტესტი მასშტაბური უნდა ყოფილიყო.

***– რატომ არ აქვს მასშტაბი?***

– პოლიტიკური ძალა, რომელიც ცდილობს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებას, ამავე დროს, ცდილობს, როგორღაც დაბრუნდეს ხელისუფლებაში, მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას კი თავისი ეკონომიკური გაჭირვება აღელვებს, თან რუსთაველის გამზირი არ არის მხოლოდ ის ადგილი, სადაც პროტესტი უნდა გამოიხატოს. ზამთარია, ცივა, ადამიანები თავიანთი პრობლემებით არიან დაკავებული.

***– თქვენ ოპოზიციას სთავაზობდით, რომ ეს პროტესტი რეგიონებშიც გაშლილიყო?***

– რა თქმა უნდა, ჩემი შეთავაზება თავიდანვე იყო, რომ ეს პროტესტი საქართველოს მასშტაბით ყოფილიყო. შეიძლებოდა, ყოველდღიური პროტესტი ადამიანებს საკუთარ სამუშაო ადგილებში, საკუთარ რაიონებში გამოეხატათ. სხვადასხვა ადგილებში, ქვეყნის მასშტაბით გამოხატული პროტესტი უფრო ეფექტური იქნებოდა და სოლიდარობის განცდაც უფრო მეტი იქნებოდა. მაშინ ეს არ იქნებოდა პოლიტიკური ძალის ეგიდის ქვეშ აღქმული პროტესტი. ეს უკვე იქნებოდა საყოველთაო-სახალხო პროტესტი.

***– ეს პროცესი მაინც წარმოჩენილია, როგორც ორპარტიული დაპირისპირება?***

– დიახ, საბოლოო ჯამში, ასე ჩანს.

***– თუმცა ლეიბორისტების ოფისში ჩვენ ვხედავთ სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსებს. თქვენ ესწრებოდით ამ შეხვედრებს. ვინ არის წარმმართველი ძალა იმ მაგიდასთან?***

– ჩვენი წარმომადგენელი ესწრება შეხვედრებს. ძირითადი საუბრები ე.წ. გერმანული მოდელის გარშემო და ელჩებთან შეხვედრაზე იყო.

ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გააზრებულად, შეგნებულად გადადგა და, რომ სდომებოდა გამოსავლის მოძებნა, ოპოზიციას კი არ დაელოდებოდა, თავის ხელშია ყველაფერი და გასაკეთებელს გააკეთებდა.

ხელისუფლება დათმობაზე რომ წამოვა, ეს ზღაპარია. ამ ქვეყნის მოქალაქეების ღირსებას შეეხნენ და სწორედ ამ გადმოსახედიდან უნდა აგებინო პასუხი. საარჩევნო კანონმდებლობა არ არის მთავარი თემა. მთავარი ადამიანების გაუსაძლისი ცხოვრებაა. ამაზე უნდა იყოს მთელი აქცენტი.

***– შეიძლება, ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეს საქმე?***

– ვადამდელი არჩევნები აქამდე უნდა დანიშნულიყო, რომ ეს კრიზისი განმუხტულიყო. უკვე ვადამდელი არჩევნები ველარ უშველის, ისეა ჩიხში შესული პროცესი.

ამ არჩევნებს უკვე არავინ აღიარებს. „ქართულმა ოცნებამ“ ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რომ აღარავის დაუტოვა შანსი, მის მომხრეებსაც კი, რომ არჩევნები სამართლიანად იყოს აღქმული. ამ შემთხვევაში ხალხს აქვს ლეგიტიმური უფლება ძალაუფლების დაბრუნებისა სხვადასხვა გზით, მათ შორის რევოლუციური სცენარითაც.

***– და თქვენ ამ სცენარს განიხილავთ?***

– როგორც კი არჩევნები დამთავრდება, თუ შედეგები ხალხის ნების საწინააღმდეგო იქნება, „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ სერიოზული პრობლემა ექნება ლეგიტიმაციის, აღიარების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამას დამატებული ეკონომიკური რყევები, ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში.

პირდაპირ გეუბნებით – ეს იქნება სოციალური აჯანყება, რაც არასდროს მომხდარა, ის მოხდება. ხელისუფლებამ შიდა ბრძოლებსა და ინტრიგებს გადააყოლა ყველაფერი.

***– რას გულისხმობთ?***

– თბილისის მერს თითქოს რომ წამოსცდა, ჩემი გუნდით ოპოზიციაში რომ გადავალო, მერე რომ დააკონკრეტა, „ქართულ ოცნებას“ ვგულისხმობო.

***– არ წამოსცდა?***

– არაფერიც არ წამოსცდა. კალაძე უკვე დიდი ხანია, ისეთ განცხადებებს აკეთებს თავის შეკრულ გუნდთან ერთად, რომ ივანიშვილს გამოსაფხიზლებლად უნდა გამოადგეს.

ივანიშვილი დღეს მარტოა, ხალხს ჩამოაშორეს, იზოლაციაშია. ეს ძალიან ჰგავს იმას, თავის დროზე შევარდნაძე რომ შეიძულეს გუნდის ახალგაზრდა წევრებმა. საკმაოდ საინტერესო პროცესების განვითარებას ვუყურებთ. მე მგონი, ივანიშვილი ძალიან აგვიანებს. მას ბევრი მტკიცე გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

***– კონკრეტულად?***

– „ქართული ოცნების“ ელიტა ისეა გახლართული ფინანსურ ინტერესებში, ბიზნესგადანაწილებებში, რომ ივანიშვილს ამით დაინტერესება მოუწევს.

# ვალერი გელბახიანი: „სააკაშვილს უკრაინაში შესაძლოა ძალიან მაღალი თანამდებობა მისცენ“



– ის წარსული ვერ გადაკეთდება, რაზეც ნაციონალურ მოძრაობას ვედავებოდით, რის გამოც დაპირისპირებაში შევედით და რაც არის ისტორიის ნაწილი.

ამის შესახებ ყოფილმა დეპუტატმა, პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ წევრმა ვალერი გელბახიანმა ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მისი და გუბაზ სანიკიძის შეხვედრასთან დაკავშირებით განაცხადა.

ვალერი გელბახიანის ინფორმაციით, შეიძლება სააკაშვილს უკრაინაში მისცენ ძალიან მაღალი თანამდებობა, მაგრამ, მისი თქმით, „ეს თანამდებობა არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით“.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში უმძიმესი შეცდომები იყო, რაზეც მიხეილ სააკაშვილის ახსნა იყო, რომ მან კონტროლი დაკარგა თავის ჯგუფზე.

– მე დღემდე ვრჩები იმ პოზიციაზე, რა შეცდომებიც მაშინ ფიქსირდებოდა, იგივეს ვაღიარებ დღესაც. ნაციონალური მოძრაობის მიმართ შეფასებები იგივეა, მაგრამ მედალს აქვს ორი მხარე. არსებობს წარსული და მომავალი.

საქართველოში დღეს არის ძალიან ცუდი სიტუაცია. სააკაშვილს ჰყავს ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია, რომლის მოქმედებას, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლია შეცვალოს ვითარება. გააუარესოს, დაძაბოს და ა.შ.

ერთ-ერთი ამოცანა სააკაშვილთან ჩვენი ვიზიტისა, იყო ის, რომ მასთან ესაუბრა არა თავისი პარტიის წარმომადგენლებს, არამედ ქართველი ხალხის წარმომადგენლებს. მე მინდოდა გამერკვია, რას გეგმავდა, რა აწუხებდა და როგორ ფიქრობდა ის საქართველოს მომავალზე.

მე ვიცი, რომ მას შეიძლება მისცენ ძალიან მაღალი თანამდებობა უკრაინაში, მაგრამ ეს თანამდებობაც არ უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. იყო სხვა საკითხებიც – ჩემს პროექტებზე და პირად დამოკიდებულებაზეც, – განაცხადა გელბახიანმა.

როგორც გელბახიანმა აღნიშნა, მათი აზრები არ ემთხვევა ერთმანეთს, რადგან მას თავისი შეხედულება აქვს ქვეყნის განვითარებაზე და სააკაშვილს – სხვა.

მიხეილ სააკაშვილი 23 ნოემბერს კიევში ყოფილ დეპუტატებს გუბაზ სანიკიძესა და ვალერი გელბახიანს შეხვდა. შეხვედრის ამსახველი ვიდეომასალა მიხეილ სააკაშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, ყველა მათგანს ერთი რამ – საქართველოს სიყვარული აერთიანებს. ვალერი გელბახიანის განცხადებით კი ისინი 23 ნოემბერს სიმბოლურად შეიკრიბნენ.

# გომელაური ლარს ვესტბრატს შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და მიგრაციის მინისტრის მოადგილეს, სახელმწიფო მდივან ლარს ვესტბრატს შეხვდა.

ვახტანგ გომელაურმა სახელმწიფო მდივანს მადლობა გადაუხადა შვედეთის სამეფოს მთავრობის მიერ საქართველოს მტკიცე და უწყვეტი მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე მხარეებმა შვედეთის სამეფოსთან სამართალდაცვით სფეროში არსებული წარმატებული თანამშრომლობა განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობაზე, ამ კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მისი წარმატებით განხორციელებისთვის გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს, გაღრმავდეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა და დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის კუთხით.

# გია ვოლსკი: „შექმნილ ვითარებაში კომპრომისი არ ჩანს“

– აზრის გამოხატვის თავისუფლების სანაცვლოდ ადამიანებმა სერიოზული ფიზიკური სასჯელი მიიღეს და არაერთი შემთხვევა იყო ადამიანების განზრახ მოკვდინებისა. ეს არის მთავარი, რაც გამოგვარჩევს იმ ადამიანებისგან, რომლებიც დღეს ბარიერის მეორე მხარეს არიან. ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებას.

გია ვოლსკი ამბობს, რომ აზრის გამოხატვა საქართველოში თავისუფლად სწორედ მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად არის შესაძლებელი.

– აზრის გამოხატვის თავისუფლებას ის პოლიტიკა აძლევს გარანტიას, რაც 2012 წლის შემდეგ არის სახელმწიფო მიერ გატარებული.

რაც შეეხება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებას, ნებისმიერი პოლიტიკაში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანი მიხვდება, რომ ეს არის ის, რაც მაღალი ტრიბუნიდან უნდა ურჩიო პარტნიორ ქვეყანას, ამ შემთხვევაში, საქართველოს, – განაცხადა გია ვოლსკიმ.მისივე თქმით, შექმნილ ვითარებაში ძნელია, კომპრომისი მოინახოს.

– შექმნილ ვითარებაში არანაირად კომპრომისი არ ჩანს. გადადგეს მთავრობა და ჩატარდეს რიგგარეშე პროპორციული არჩევნები, გადადგეს საარჩევნო ადმინისტრაცია – ეს არის ის, რასაც ოპოზიცია აცხადებს და რის გამოც იკრიბებიან. მე საკმაოდ რთულად წარმომიდგენია ასეთ ვითარებაში შეთანხმება, – აღნიშნა გია ვოლსკიმ.



თბილისში მიმდინარე საპროტესტო დემონსტრაციებთან დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტი კომენტარს აკეთებს, რომელსაც „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია ავრცელებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს მთავრობასა და დემონსტრანტებს მოუწოდებს, გამოიჩინონ თავშეკავება და ესკალაცია ან ძალადობრივი მოქმედებები თავიდან აიცილონ.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს მესაზღვრეები ბლოელ გოგიას სახლს უშენებენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლების დახმარებით ხევსურეთის სოფელ ბლოს ერთადერთი მკვიდრი გოგია გიგაური ზამთარს საკუთარ სახლში გაატარებს.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა ბლოელი გოგიასთვის თანხა შეაგროვეს და შეიძინეს სამშენებლო მასალა, რომელიც ბარისახოდან სოფელ ბლომდე სასაზღვრო ავიაციის ვერტმფრენის დახმარებით გადაიტანეს.

სახლის სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ხმალაძე: „გერმანული მოდელის შემოღება საარჩევნო კოდექსით შეიძლება და საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდება“

## „მაჟორიტარების მოსაგებად მუშაობს ადმინისტრაციული რესურსი და ფული“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიცია ხელისუფლებას კრიზისიდან გამოსასვლელად ე.წ. გერმანული მოდელის მიღებას სთავაზობს, რასაც, მათი თქმით, საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება და მის მისაღებად 76 ხმა საკმარისია. მმართველი გუნდი კი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ამის მისაღებად საჭიროა საკონსტიტუციო ცვლილება, რისთვისაც 113 ხმაა საჭირო, ხოლო მმართველი გუნდი საკმარისი ხმების მობილიზებას ვერ ახდენს.

ვინ არის მართალი? რა ჩანაწერია კონსტიტუციაში ამ საკითხზე? რას ნიშნავს ე.წ. გერმანული მოდელი და რა იცვლება რეალურად? რატომ არ თმობს არც ერთი ხელისუფლება არასდროს და რა მექანიზმებით ცდილობს ხელისუფლება უმრავლესობის მოგროვებას? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე საუბრობს.

***– ე.წ. გერმანულ მოდელზე აზრთა სხვადასხვაობაა და უმრავლესობა გვიმტკიცებს, რომ კონსტიტუციაში ცვლილების გარეშე ეს ცვლილება ვერ განხორციელდება. არის თუ არა ეს ასე? როგორია თქვენი განმარტება?***

– პირველი უნდა ვთქვა ის, რომ ტერმინი გერმანული მოდელი ჟურნალისტებმა აიტაცეს. ეს არ არის ის მოდელი, რომლის მიხედვითაც ხდება არჩევნების შეჯამება გერმანიაში. იმ მოდელში, რომელსაც ოპოზიცია სთავაზობს ხელისუფლებას და საზოგადოებას, ეს მოდელი ემყარება იმ პრინციპს, რომელიც უდევს საფუძვლად გერმანულ მოდელს, თორემ მანდატების განაწილების წესი ტექნიკური თვალსაზრისით განსხვავდება გერმანიაში არსებული წესისაგან და შეუძლებელია, არ განსხვავდებოდეს, რადგან გერმანიის ბუნდესტაგის წევრთა რაოდენობა შეზღუდულია, ასე ვთქვათ, ზევიდან შემოსაზღვრული არ არის და იმის მიხედვით განისაზღვრება, როგორი იქნება არჩევნების შედეგები, რამდენი დამოუკიდებელი კანდიდატი გაიმარჯვებს მაჟორიტარულ ოლქებში, რამდენი ისეთი პარტიის კანდიდატი გაიმარჯვებს, რომელთაც ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი და მანდატები არ მიეკუთვნებათ პროპორციული წესით. ამის მიხედვით იზრდება ხოლმე ბუნდესტაგის წევრთა რაოდენობა, ანუ ყოველი კონკრეტული მანდატების რაოდენობა ზუსტად იყოს პროპორციული ბუნდესტაგის სრულ შემადგენლობაში იმ ხმებისა, რომელიც ამ პარტიამ მიიღო პროპორციული წესით. ამიტომ ჩვენთან განაწილების წესი შეცვლილია და იმგვარად არის განსაზღვრული, რომ პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა მაქსიმალურად ახლოს იყოს პროპორციულობის პრინციპთან.

***– რას გულისხმობს ეს?***

– მარტივად ვიტყვი და მაგალითს მოვიყვან თვალსაჩინოებისათვის. ჩვენს 150- წევრიან პარლამენტში თუ პარტიამ, ან საარჩევნო ბლოკმა მიიღო ხმების 20%, მას არ უნდა ჰქონდეს 150-ის 20% ანუ 30-ზე მეტი მანდატი. ამ პრინციპს ეფუძნება ეს მოდელი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას.

***– ანუ მექანიკურად არ შეიკრიბება და მაჟორიტარებს არ დაემატება ეს 20%?***

– დიახ, მექანიკურად არ დაემატება. დღეს ასეა, რომ თუ პარტიამ მიიღო ხმების 20% მაშინ მას პროპორციულად ასარჩევი 77 მანდატისგან ეძლევა 20%, რაც დაახლოებით 16 მანდატია და, თუ ამ პარტიის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს 50 მაჟორიტარულ ოლქში, მათ ექნებათ 50-ს პლუს ეს 16 მანდატი, ანუ 66 მანდატი. როცა პროპორციულობის დაცვის პრინციპის შემთხვევაში ანუ გერმანული მოდელის შემთხვევაში მას ვერ ექნებოდა 50 მანდატზე მეტი, რადგან პროპორციულობის წესით მას ეკუთვნის 150 დეპუტატიდან 30 მანდატი. თუ ეს პარტია გაიმარჯვებდა 10 მაჟორიტარულ ოლქში პროპორციულობის დაცვით, მას პარტიული სიიდან დაემატებოდა 20 მანდატი და ჯამურად ექნებოდა 30 მანდატი. ამიტომ ეს სისტემა გაცილებით სამართლიანია.

***– დავუბრუნდეთ ჩემს პირველ კითხვას, კონსტიტუციური ცვლილების გარეშე შესაძლებელია თუ არა ამ ცვლილების გატარება?***

– კონსტიტუციაში წერია ორი ნორმა, რომლებიც ეხება ამ საკითხს. პირველი ნორმა ამბობს, რომ პარლამენტი შედგება პროპორციულად არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტარისგან. პარლამენტის წევრთა განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით. ჩვენ ამ ორ წინადადებას უნდა დავეყრდნოთ.

ბოლო წინადადება ამბობს, რომ, მაგალითად, მაჟორიტარული სისტემით არჩევისას მანდატები შეიძლება განაწილდეს ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ანუ ქვეყანა დაიყოს 73 ერთმანდატიან ოლქად და ყველა ოლქიდან აირჩეს თითო პირი. შეიძლება, სხვანაირად ითქვას, მაგალითად, ასე, რომ მაჟორიტარული სისტემით პარლამენტის არჩევნებისთვის ქვეყანაში იქმნება 10 შვიდმანდატიანი ოლქი და ერთი სამმანდატიანი ოლქი. შვიდმანდატიანი ოლქებიდან აირჩევა პარლამენტის 7-7 წევრი, ხოლო სამმანდატიანიდან პარლამენტის სამი წევრი. კიდევ შეიძლება, სხვა წესი იყოს შემოღებული. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ბოლო წინადადება, რომ პარლამენტის წევრთა განაწილების წესი განისაზღვრება საარჩევნო კანონმდებლობით, ეს საშუალებას გვაძლევს, რომ მანდატების გამოყენების სხვადასხვა წესი გამოვიყენოთ.

როგორც მოგახსენეთ, 77 წევრი აირჩევა პროპორციული წესით, მაგრამ, როგორ გადანაწილდება ეს მანდატები, ამაზე კონსტიტუცია არაფერს ამბობს და თქვა, რომ ეს როგორც განაწილდება, ეს განსაზღვრავს საარჩევნო კანონმდებლობას.

***– ანუ იქით მივდივართ, რომ კონსტიტუციაში ცვლილების საჭიროება არ დგას?***

– დიახ. საარჩევნო კანონმდებლობით შეიძლება ამის შეცვლა. ორ ვარიანტს გეტყვით. შეიძლება, კანონმა თქვას, რომ ის 77 მანდატი, რომელიც პროპორციული სისტემით უნდა იყოს განაწილებული, ისე გავანაწილოთ, როგორც დღეს არის, ანუ პროპორციულობა განვსაზღვროთ ამ 77 დეპუტატის მიმართ. შეიძლება, გავაკეთოთ ისე, როგორც ეს კეთდება გერმანიაში, რომ ეს 77 მანდატი გავანაწილოთ პროპორციულად, ოღონდ პროპორცია განვსაზღვროთ არა 77-ის მიმართ, არამედ 150-ის მიმართ, ანუ პარლამენტის სრული შემადგენლობის მიმართ. კონსტიტუციამ გვითხრა, რომ 77 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემით. საქმე იმაშია, რომ ეს 77 მანდატი, ვინც პროპორციული სისტემით აირჩევა, როგორ გამოვავლინოთ. გერმანული მოდელის პრინციპი კი ამბობს, რომ კი უნდა გამოვავლინოთ პროპორციული წესით, მაგრამ პროპორცია უნდა დავადგინოთ, რამდენი მანდატი ეკუთვნის პარტიას არა 77-დან, არამედ 150-დან. ეს არის განსხვავება არსებულ წესსა და ჩვენ მიერ შეთავაზებულს შორის.

***– რატომ ხდება ხელისუფლების ასეთი გაჯიუტება? ასეთივე გაჯიუტებული იყო შევარდნაძის ხელისუფლებაც და სააკაშვილისაც. თქვენ რომელ პერიოდს შეადარებდით ამ ვითარებას?***

– ძალიან მარტივად გიპასუხებთ, ასე იყო 1990 წლიდან მოყოლებული. როდესაც პირველი მრავალპარტიული არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ეს იყო 1990 წელს. მაშინ მთელი ძალაუფლება კომუნისტური პარტიის ხელში იყო და ოპოზიცია, მაშინდელი ეროვნული მოძრაობა ითხოვდა პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარებას. კომუნისტებს კი მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით უნდოდა არჩევნების ჩატარება. ამ დაპირისპირების ფონზე მოხერხდა შეთანხმება, რომ ნახევარი ერთი სისტემით არჩეულიყო და ნახევარი მეორე სისტემით, ამიტომ შემოიღეს ერთდროულად ორი პარალელური სისტემა. სრულიად აშკარად ჩანდა, რომ ეს პარალელური სისტემები ხელს აძლევს ხელისუფლებაში მყოფ პარტიას.



სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ოპოზიციაში ყოფნისას პარტიები ითხოვდნენ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, მაგრამ როგორც კი ასეთი რომელიმე პარტიის ხელში აღმოჩნდებოდა ხელისუფლება, თავადვე ამბობდა უარს საარჩევნო სისტემის შეცვლაზე და ტოვებდა ამ შერეულ სისტემას. ამ შერეული სისტემის გამოა, რომ არჩევნების შემდეგ ვიღებთ სურათს, რომ პარტია იღებს 50%-ზე ნაკლებ ხმებს და პარლამენტში იღებს 70-ზე მეტ მანდატებს და ეს იმის ხარჯზე, რომ ამ პარტიის ბევრმა კანდიდატმა მოიგო მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი.

***– რის ხარჯზე ახერხებენ მაჟორიტარული ოლქების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამარჯვებას?***

– მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მოგებისას ყველაზე ეფექტიანად მუშაობს ე.წ. ადმინისტრაციული რესურსი და ფული. ამის ხარჯზე ახერხებენ ხოლმე ამის მოგებას და შედეგად ვიღებთ პარლამენტში ერთპარტიულ უმრავლესობასა და ერთპარტიულ მთავრობას. ასეთი მიდგომა პარლამენტის ტრიბუნიდან ხმამაღლაც მოგვისმენია, მე ვარ ხელისუფლებაში და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ, ხვალ თუ შენ იქნები, შენ რაც გინდა, ის გააკეთეო. ეს პრინციპია ყველაზე შემაფერხებელი ქვეყნის განვითარებისთვის.

# „არ ვიცი, მიტინგებზე ასე ცოტა ხალხი რატომ არის“

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის ნერვების ომია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, როგორ შეაფასებდით განვითარებულ პროცესებს? როგორ უნდა მიაღწიოს საზოგადოებამ შედეგს, რით, რა ბერკეტით უნდა აიძულოს ხელისუფლება, რომ დათმობაზე წამოვიდეს?***

– არ წამოვა „ოცნება“ დათმობაზე. გასაგები ხდება, რომ „ოცნება“ ნებით არსად წამსვლელი არ არის. მათ ხელისუფლების გარეთ საკუთარი თავი ვერ წარმოუდგენიათ და ამიტომ მათგან არანაირი დათმობა არ იქნება.

ერთადერთი შანსი არის ის, რომ არჩევნებზე, როგორი არჩევნებიც არ უნდა იყოს, შერეული თუ პროპორციული, უნდა შეძლოს ოპოზიციამ „ოცნების“ არჩევნების გზით დამარცხება. სხვა გზა არ რჩება, ფაქტია.

არის კიდევ მეორე გზა, რომელიც ოპოზიციამ აირჩია – ამ აქციებით მოშალოს ხელისუფლება, თუმცა ამას უნდა დიდი რესურსი.

***– რამდენად აქვთ ეს რესურსი, რამდენად სწორი და თანმიმდევრულია ოპოზიცია?***

– პრინციპში, სტრატეგია სწორად აირჩია, რადგან აქ სხვა სტრატეგია არც არსებობს. ყოველ კვირაში ერთხელ აქციის გამართვა არ არის მარტივი, ერთხელაც მოუწევს ხელისუფლებას სპეცტექნიკის გამოყვანა და რაღაც მომენტში სადღაც რაღაცა გაწყდება. გააჩნია, ვის მეტი რესურსი ექნება.

***– ანუ ნერვების ომი მიდის, გაძლებაზეა?***

– ასეა. ხელისუფლებას თუ ჰყავს უფრო მეტი სპეცრაზმელი და უფრო დასვენებული, ხელისუფლება გადააგორებს, თუ ოპოზიციას ჰყავს უფრო მეტი მომიტინგე დასვენებული, რომ ცვალოს ისინი პერიოდულად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრს ციხეშიც სვამენ, თუ ეყოლებათ ბევრი და დასვენებული მომიტინგე, შეიძლება, აჯობოს ოპოზიციამ. მიდის რესურსების ომი.

***– ასე უნდა მივიდეთ 2020-მდე?***

– შეიძლება, ვერც მივაღწიოთ 2020-მდე. გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები.



***– მოვლენების როგორ განვითარებას ხედავთ?***

– ვნახოთ, რამდენ ხანს გაქაჩავს ოპოზიცია მიტინგებს. ამას სჭირდება ენთუზიაზმი, ხალხის დაქოქვა, რესურსი.

***– სეზონურადაც ცუდი სიტუაციაა, ზამთარია, ცივა...***

– დიახ, ესეც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორია ნამდვილად.

***– ხელისუფლება კალაძის საშუალებით გვესაუბრება, რომ არ იქნება არანაირი დათმობა და არჩევნები ჩატარდება იმ სისტემით, რომლითაც აქამდე ტარდებოდა. ჩვენც ამ სისტემით მოვუგეთ ნაცებს 2012-შიო. პროპორციულს ქაოსი და არეულობა მოჰყვებაო. თუ არეულობისა და ქაოსის მომტანი იყო, მაშინ რატომ დაჰპირდნენ ხალხს?***

– მაშინ შეშინებული იყვნენ, რაღაც დათმობაზე წასვლა უწევდათ. როგორც ჩანს, ბევრი ვერ იფიქრეს, ეჩქარებოდათ. მერე, როცა დამშვიდდნენ და მეტი დრო ჰქონდათ ფიქრისთვის, გადათვალეს და მიხვდნენ, რომ ამ სისტემით ვერანაირად ვერ იგებდნენ. დაახლოებით 30% აქვთ ახლა რეიტინგი და განა რამდენით უნდა აქაჩო ადმინისტრაციული რესურსითა და გაყალბებით? მაქსიმუმ 10%, მეტს ხომ ვერ აქაჩავ? ანუ 40%-ზე მეტი შანსი არ ჰქონდათ აღების. დავუმატოთ ისიც, რომ კიდევ ერთი წელია წინ, ამ ერთ წელიწადში მათი რეიტინგი კიდევ უფრო დავარდება, რადგან მიდრეკილება აქვთ სერიოზული შეცდომებისკენ. კარგად დათვალეს და გვითხრეს, ეს ამბავი აღარ გამოვა, ბიჭებო და გოგოებო!

***– ვინ მეტს გაუძლებს და მაინც სად შეიძლება გაწყდეს?***

– რესურსი ხელისუფლებას მეტი აქვს, მაგრამ, მეორე მხრივ, იმდენად მანკიერ სისტემაზე დგას ეს ხელისუფლება, რომ შეიძლება, ნებისმიერ წუთს იფეთქოს შიგნიდან. პლუს ამას კატასტროფული საკადრო დეფიციტი აქვთ. თალაკვაძე რა ანეკდოტშიც გაეხვია, იმ ანეკდოტში არ უნდა ეხვეოდეს პარლამენტის თავმჯდომარე. ამდენი სისულელე ორ დღეში ჩაიდინოს, აღარ ჩამოვთვლი მის სისულელეებს. ოპოზიცია რომაა შენთან ერთად და ფოტოს გიღებს, ამის მერე რომ გამოვარდები და იტყვი, თბილისში ვარო, რაზეა ლაპარაკი!

„ოცნებას“ ჰყავს ერთი-ორი შედარებით უნარიანი ადამიანი მთავრობაში, იგივე გახარია, სხვებზე მეტად ჭკვიანი.

ამ ეტაპზე სწორად იქცევა. უკაცრავად და მან რაც შეიტენა 20 ივნისის დანაშაული, ჩემი აზრით, ეს უნდა აკმარონ.

***– რით გამოიხატება მისი გონიერება, რას აკეთებს გახარია?***

– შედარებით კორექტულად და ცივილიზებულად შლიან მიტინგებს. ევროპაში ამ სიცივეში ცივ წყალს არავინ უშვერს მომიტინგეებს, მაგრამ რეგიონის კვალობაზე ცივილიზებულად იქცევიან, რუსეთის, აზერბაიჯანისა და ასე შემდეგ.

***– ოპოზიცია ჯერჯერობით არ ნებდება, როდემდე ჩატარდება პარლამენტის სხდომები სპეცრაზმისა და პოლიციის დახმარებით, ეს ნორმალურია?***

– როცა მმართველი გუნდი ძალაუფლებას ებღაუჭება, ის ყველაფერზეა წამსვლელი, მათ შორის ამაზეც. ალბათ ფიქრობენ, რა ვქნათ, ჩავატარებთ პოლიციის დახმარებით, აბა ხელისუფლებიდან ხომ არ წავალთო. გაუტკბათ ძალიან.

ძალაუფლება ხომ ნარკოტიკივით არის, როგორც ნარკომანს არ უყვარს, კაიფიდან რომ გამოჰყავთ, ისე ხელისუფალს არ უყვარს, როცა ტკბობაშია და ანჯღრევენ და ეუბნებიან, წადი ხელისუფლებიდანო. აქ არის მეორე მომენტიც, ივანიშვილი ასე უყურებს სიტუაციას, რომ თუ ამ ქვეყანას თავად არ მართავს, ისე აქ არ დაედგომება. როგორც ჩანს, ეშინია. თავისი მილიარდების გამო ეშინია, ხოლო სხვა ქვეყანაში ასე კომფორტულად ვერ იქნება. რუსეთში შანსი არ არის, ვერ წავა, დასავლეთშიც რაღაცების ეშინია. საქართველოშია ბატონ-პატრონი ყველაფრის და უნდა, რომ ასე იყოს უსასრულოდ.

***– მაინც რა გათვლა აქვს ივანიშვილს?***

– ამათი მიზანი ერთია, როგორმე მიაღწიონ 2020 წლამდე, არჩევნებს შერეული სისტემით ჩაატარებენ. მათი გათვლა იქნება, რომ რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი დატოვონ სახლში, მათ მხოლოდ ეს არჩევანი დაუტოვონ – ან მიშა, ან ბიძინა.

***– რატომ არ არის აქციებზე ბევრი ხალხი?***

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რა ხდება. ამას სერიოზული კვლევა სჭირდება, თუ რატომ არ გამოდის ხალხი. 100 ათასი კაცი თუ გამოვა, მაშინ ყველაფერი იმ დღესვე დამთავრდება.

***– შალვა ნათელაშვილმა, 50 ათასიც საკმარისია, იმ დღესვე დამთავრდება „ოცნებაო“.***

– დიახ, 50 ათასიც იკმარებს, მაგრამ არ გამოდის ხალხი. რაღაცაშია საქმე, ამას სერიოზული შესწავლა და კვლევა სჭირდება, ასე მარტივად ვერ ვიტყვი.

***– მაინც რა არის მიზეზი, წარსულის შიში?***

– მიჭირს თქმა. ვინ გამოდის ხოლმე ასეთ დროს? გამოდის ახალგაზრდობა და, როგორც ჩანს, ახალგაზრდობას არც ერთი პოლიტიკური პარტია ისე არ მოსწონს, რომ გარეთ გამოვიდეს. ძალიან ცოტანი არიან.

***– გაძლიერდება დასავლეთის წნეხი?***

– „ქართული ოცნება“ მშვენივრად სარგებლობს შექმნილი სიტუაციით. დღეს არც ამერიკასა და არც ევროპას ჩვენთვის არ სცალია. დღეს მათი ყურადღების ცენტრში საქართველო არ არის.

დღეს მიდის ნერვებისა და რესურსების ომი და, ჩემდა სამწუხაროდ, მაინც მგონია, რომ ხელისუფლებას მეტი რესურსი აქვს, რომ ეს ომი მოიგოს, თუმცა, როგორ მიატანენ 2020 წლის არჩევნებამდე, ძალიან რთული სათქმელია. თუ ასე გააგრძელეს, შერეული სისტემით მოგებაც ძალიან გაუჭირდებათ.

# ცხინვალის რეჟიმი ქართველების წინააღმდეგ იტალიელ იურისტებს იყენებს

## ევროპარლამენტში ოსების გენოციდისადმი მიძღვნილი ღონისძიებები იგეგმება

მარიამ მჭედლიშვილი

**სანამ ოფიციალური თბილისი ამაოდ ცდილობს ცხინვალში დატყვევებული ექიმის, ვაჟა გაფრინდაშვილის, გამოხსნას, საოკუპაციო რეჟიმი ურთიერთობის არეალს იფართოებს. ბოლო ევროპული ტურნეს დროს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა საფუძველი ჩაუყარა პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას გერმანიისა და იტალიის ზოგიერთ ქალაქთან, ასევე — ევროპარლამენტის წევრთან.**



თუ ამ დრომდე მედოევის ევროპული ვოიაჟები ეხებოდა სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის საკითხებს, ასევე, „დამოუკიდებლობის აღიარების" გაფართოების მცდელობას, დღეს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი ახდენს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას ოსების გენოციდზე.

ოსური ვერსიით, ოსების გენოციდი მოაწყო საქართველოს ხელისუფლებამ 1920-იან წლებში. მისი კულმინაცია იყო 1920 წელს. 2020 წელს ცხინვალის რეგიონში აღინიშნება ამ მოვლენის 100 წლისთავი. იგეგმება კონფერენციების, ლექციების, გამოფენების ჩატარება, შემუშავდება კანონპროექტი, რომელიც დააწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გენოციდის უარყოფაზე. ცხინვალი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გენოციდისადმი მიძღვნილმა აქტივობამ ევროპაც მოიცვას.

საოკუპაციო რეჟიმის ფაქტობრივი პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი აცხადებს, რომ სწორედ ახლა დგება დრო, როცა მოღვაწეები და პოლიტიკოსები საზღვარგარეთ იჩენენ ინტერესს „სამხრეთ ოსეთისა" და იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც 100 წლის წინ განვითარდა.

მან მედოევს ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება დაავალა.

თვითმარქვია საგარეო მინისტრ მედოევის საქმიანობა ისედაც სანიმუშოა. იგი წლებია, თავისუფლად დაიარება იმ სახელმწიფოებშიც, რომლებიც ოფიციალურად აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ბოლო ტურნეს დროს მედოევმა მილანში მოახერხა „ალანია-იტალიის მეგობრობის" ასოციაციის ჩამოყალიბება.

ეს მოხდა იმ ქალაქში, რომელსაც ხშირად სტუმრობენ როგორც ქართველი მაღალჩინოსნები, ისე ჩვეულებრივი მოქალაქეები.

მედოევის მტკიცებით, ეს ორგანიზაცია დააფუძნა იტალიურმა საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც ადრე ჩამოდიოდა „სამხრეთ ოსეთში".

მილანში განიხილებოდა „მხარეების" მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები.

იტალიის სხვა ქალაქში, ნეაპოლში, მედოევმა არანაკლებ შორსმიმავალი პერსპექტივები დასახა. იგი იქ შეხვდა იურიდიულ წრეებს, რომლებიც ცხინვალის საოკუპაციო ადმინისტრაციას ქართველების წინააღმდეგ დახმარებას დაჰპირდნენ. საუბარია ხსენებულ გენოციდზე. იტალიელი იურისტები აპირებენ, ჩაერთონ საუკუნის წინანდელ სავარაუდო გენოციდზე ინფორმაციის გავრცელებასა და შესაბამისი სარჩელის მომზადებაზე.

მედოევის მიზანსწრაფულობა ბრიუსელსაც გადასწვდა. მან საუბარი გამართა ევროდეპუტატ ტატიანა ჟდანოკთან. მისი ინფორმაციით, განიხილებოდა ოსების გენოციდის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ერთობლივი ღონისძიებებისა და მრგვალი მაგიდების გამართვის შესაძლებლობა. ცხინვალის წინადადებებს ამის თაობაზე ევროპარლამენტის წევრი „სრული გაგებით" შეხვდა.

მედოევი ბერლინის რეგიონული პარლამენტის წევრის გუნარ ლინდემანის მიწვევით გერმანიის დედაქალაქსაც ეწვია. იქ დაარსდა გერმანულ-ოსური მეგობრობის კლუბი.

„ახალი თაობა" წერდა, რომ ცხინვალის მარიონეტულმა ხელისუფლებამ ამ გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატას. სახელმწიფო დუმაში რამდენიმე თვეა მუშაობს მაშინდელი მოვლენების შემსწავლელი კომისია. ამ დღეებში ცხინვალელმა დეპუტატებმა მოსკოვში ზედა პალატაში გამართეს შეხვედრა. ფედერაციის საბჭოში მათ უთხრეს, რომ გენოციდის საკითხს გულმოდგინედ შეისწავლიან.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის" ამღიარებელი რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. შესაძლოა, რუსეთის პარლამენტის ორივე პალატამ ეს გენოციდი ფაქტად გამოაცხადოს.

საინტერესოა, რას მოიმოქმედებს საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლება? ისიც საკითხავია, რას აკეთებენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები იმ სახელმწიფოებში, სადაც დადის მედოევი, ან ის მაღალჩინოსნები, რომლებიც ევროპაში დასასვენებლად დაიარებიან.

# თამაზ ბაკურიძე: „აჭარა ეკონომიკურად თურქეთის გავლენის ქვეშ არის"

გულიკო ბალაძე

**ბათუმში თურქეთის საკონსულოსთან საპროტესტო აქცია გაიმართა. რა ფაქტებს უკავშირდება თურქეთის საკონსულოსთან გამართული საპროტესტო აქცია? რას მოუტანს აჭარას თურქული ინვესტიციები? ამის შესახებ „ახალ თაობასთან" უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე საუბრობს.**

**თამაზ ბაკურიძე:**

— ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი მოქალაქე მიკავშირდება ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხზე. აჭარაში და განსაკუთრებით ბათუმში ხშირია ისეთი ფაქტები, როცა თურქეთის მოქალაქე ბიზნესმენები ყიდულობენ უძრავ კერძო საკუთრებას (მიწასა და საცხოვრებელ ფართს) მაღლივი კორპუსების აშენების მიზნით. უძრავი ქონების მესაკუთრეებთან ფორმდება ხელშეკრულება და, როცა კორპუსების მშენებლობა სრულდება, კერძო საკუთრების მეპატრონეები გადაგდებული რჩებიან. როცა მიდიან ბიზნესმენთან კითხვით, თუ რატომ არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება, ისინი პასუხობენ, მიბრძანდით სასამართლოშიო. სასამართლო ხანგრძლივი პროცესია. ამასობაში ის შეიძლება საქართველოში აღარც იყოს, — აცხადებს თამაზ ბაკურიძე.

***— უცხოელებისთვის მიწისა და ქონების მიყიდვა პრობლემატური გახდა?***

— კერძო საკუთრების გაყიდვა პრობლემა არ არის, კანონით დაშვებულია. ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფო ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნისა და სხვა უცხოელ ინვესტორებს, მათ 1 ლარად გადასცემს ქონებას, ბიზნესმენები პირდაპირ მიდიან მოქალაქეებთან, რომლებსაც კერძო სახლი, მიწა და ციტრუსი აქვთ, დაინტერესებული არიან იმ ადგილზე მრავალსართულიანი კორპუსის აშენებით, სასტუმრო გაკეთებით.

ხშირად ინვესტორი ხელშეკრულებას აფორმებს კერძო მესაკუთრესთან, რომ აშენებულ კორპუსში გარკვეული ფართი მისი იქნება, თუ მის მიწაზე ამ კორპუსსააშენებინებს. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ის ტერიტორია ე.წ. ინვესტორს გაყიდული, გასხვისებული აქვს და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს.

***— გარანტიებისთვის ინვესტიციები სახელმწიფოს სახელით უნდა შემოვიდეს?***

— სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს, საქართველოში შემოსული ბიზნესმენი ნამდვილად ბიზნესმენია თუ თვითმარქვია. რეგულაციებს, ნებართვებს, ყველაფერს სახელმწიფო გასცემს. თუ კაცი ქურდი, ყაჩაღი და თაღლითია, როგორ შეიძლება, იმხელა მშენებლობა ვანდოთ, როგორ ვაძლევთ ნებართვებს.

ახლა ერთ-ერთ ოჯახზე ვაკეთებთ აქცენტს. კონკრეტულ ადგილზე გამოფენილია მშენებლობის ბანერი, რომ იქ კორპუსი უნდა გაკეთდეს, რეალურად კი იმ ბანერზე ასახული სახლის მაგივრად სხვა სახლი აშენდა. ეს სახელმწიფომ არ უნდა გააკონტროლოს? სამი ლიფტის მაგივრად ორი გააკეთა. მესამე — სადაც სატვირთო ლიფტი უნდა ყოფილიყო, იქ ოთახები გააკეთა. ამას ვიღაც ხომ უნდა აკონტროლებდეს. ამას ვერ აკონტროლებენ და ამ ადამიანის უფლებებს დაიცავენ.

***— თურქეთის საკონსულოს რატომ მიმართავთ?***

— საკონსულო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრადაა ქცეული. კონსული თურქეთიდან შემოსულ ყველა ბიზნესმენს სახელმწიფოსთან ლობირებს. აჭარაში ასეა, თბილისში არსებული საელჩო რას ლობირებს და რას აკეთებს, ნამდვილად არ ვიცი.

***— როგორც ვიცი, თბილისში თურქ ბიზნესმენთა ბიზნესპალატაა.***

— ბათუმშიც არის ბიზნესასოციაცია, მაგრამ ისინი უფრო საკუთარი ინტერესებისა და ფულის კეთებით არიან დაკავებული. აქ კონსული უშუალოდ ლობირებს თურქ ბიზნესმენებს. ის ოჯახი, რომელსაც პრობლემა შეუქმნეს, კონსულს შეხვდა. კონსულმა უთხრა, თავიდან რომ მოსულიყავით, გეტყოდით, მაგ კაცთან საქმე არ დაიჭიროთ, თაღლითიაო.

შემდეგ იმ კომპანიის ოფისში უთხრეს, კონსულთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და თითქმის ყოველდღე გვახსენებსო. მოდი და გაიგე, ვის ვისთან რა ურთიერთობა აქვს და ვინ რას აკეთებს.

ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში ჩვენი მოქალაქეები, რომლებმაც გაყიდეს მამაპაპეული საკუთრება, რათა უკეთეს პირობებში ეცხოვრათ, დაზარალებულები აღმოჩნდნენ. ამიტომ მივმართავთ თურქეთის კონსულს, გვინდა, თაღლითი ბიზნესმენების თაობაზე საქმის კურსში ჩავაყენოთ.

***— ანუ ამიტომ მიადექით თურქეთის საკონსულოს.***

— დიახ, გვინდა, გავლენა მოახდინოს ამ შემთხვევაში სურმანიძეების ოჯახთან დაკავშირებით პრობლემის მოგვარებაზე, რომ მათი უფლებები დაცული იყოს. ისინი ანგისის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ოჯახის უფროსი, მოხუცი, უკვე საავადმყოფოშია, აქეთ-იქით სირბილში გაცივდა.

***— სასამართლოში რომ იდავონ?***

— სასამართლოში რომ იდავონ, ჯერ ერთი, ფულია გადასახდელი, მეორეც, სასამართლო დავა ხანგრძლივი პროცესია. თურქ ბიზნესმენებს ქართველი ადვოკატები ჰყავთ და კარგად იციან, ჩვენთან სასამართლო დავა დიდ დროს რომ მოითხოვს. ასეთი ფაქტი ბათუმში უამრავია.

***— ხშირად ამბობენ, ბათუმში თურქეთის მოძალებააო. თქვენ ამ პროცესს როგორ ხედავთ, რეალურად რა პროცესია?***

— მოძალება, რა თქმა უნდა, დიდი ხანია იგრძნობა. ეს პრობლემა სააკაშვილის პერიოდიდან მოდის. მან თურქებს კარი გაუხსნა, მიწები 1 ლარად დაურიგა, ოღონდ რაღაც გააკეთეთო. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სამომავლოდ ეს წამგებიანი სვლაა. სააკაშვილს უნდოდა, მოკლე დროში ეფექტური ნაბიჯები გადაედგა, ხალხისთვის ეჩვენებინა, ბათუმი ჭაობი იყო და მე ავაშენეო.

აშენება კი ძირითადად კერძო ოჯახების მიერ გაყიდულ მიწებზე მოხდა. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ძალიან მოკლე ხანში ძალიან ცუდ შედეგს მივიღებთ. თუ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ომით, ძალის გამოყენებით წაგვართვეს, აჭარას ეკონომიკით გვართმევენ. ამ პროცესში ისე გვითრევენ, შეიძლება, პოლიტიკურადაც ჩათრეული აღმოვჩნდეთ და სავალალო შედეგი მივიღოთ. ამაზე ძალიან სერიოზული დაფიქრებაა საჭირო.

***— მათ სააკაშვილმა მოქალაქეობაც ხომ მისცა.***

— დიახ, ეს არის ნელი მოქმედების ნაღმი. როდის აფეთქდება, არ ვიცით. რამდენიმე ათას თურქეთის მოქალაქეს სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა მისცა მაშინ, როდესაც უამრავ უცხოეთში მცხოვრებ, ქართული წარმოშობის ჩვენს მოქალაქეს უარი უთხრა. ირანში, უკრაინაში, რუსეთსას და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებს სურდათ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ სააკაშვილმა მოქალაქეობა არ მისცა.



**სახელმწიფომ უნდა გააკონტროლოს, საქართველოში შემოსული ბიზნესმენი ნამდვილად ბიზნესმენია თუ თვითმარქვია**

***— სააკაშვილმა მოქალაქეობა მისცა თურქ ქართველებს თუ თურქებს?***

— არავითარ შემთხვევაში, არ იფიქროთ, რომ ის თურქები, რომლებსაც სააკაშვილმა მოქალაქეობა მისცა, ქართული წარმოშობის არიან. საქმეც ის არის, რამდენი ქართული წარმოშობის მოქალაქე შეგვხვდა, რომელმაც გვითხრა, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უთხრეს. ზოგი ფიქრობს, რამე ანტითურქული არ უნდა ვთქვათ, თურქულმა ინვესტიციამ აჭარა განავითარა.

***— ასე არ არის?***

— მე არ ვარ თურქეთის წინააღმდეგი. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, გვიჭირდა და იზოლაციაში აღმოვჩნდით, თურქეთმა მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა, ძალიან დაგვეხმარა, მაგრამ ჩვენს ისტორიულ წარსულში აუცილებლად ღრმად უნდა ჩავიხედოთ. იყო პერიოდი, როდესაც ჩვენი მეზობელი ქვეყანა ჩვენ მიმართ კეთილგანწყობილი გახლდათ, მაგრამ, იყო პერიოდი, როდესაც გვიპყრობდა.

დროდადრო იმ ქვეყანაში გამოჩნდებოდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც იმპერიული ზრახვები ჰქონდათ. ხშირად ამბობდნენ, რომ უნდათ, ოსმალეთის იმპერია აღადგინონ და ბათუმი მათია.

***— კი, თურქი მაღალჩინოსნები დროდადრო ამას ამბობენ ხოლმე.***

— დღეს აფხაზეთი ასეთი რეალობის წინაშე დგას — თუ აფხაზეთი დარჩება რუსეთთან, აფხაზური ეთნოსი, როგორც ასეთი, განადგურდება, რუსეთი მას გადაყლაპავს. არ უარვყოფ, ჩვენს რეგიონში ინვესტიციების 80% თურქულია. თუ თურქეთთან ასეთ ურთიერთობას გავაგრძელებთ, თუ 1 ლარად მივცემთ ყველაფერს, თუ ჩვენს რწმენას, ღირსებას, ნამუსსა და ეროვნებას გავყიდით, მას პურში გავცვლით, ჩათვალეთ, რომ აჭარაშიც იგივე დაგვემართება, ავტომატურად თურქეთის გავლენის ქვეშ აღმოვჩნდებით.

ახლა ეკონომიკურად უკვე ვართ მისი გავლენის ქვეშ, მაგრამ ხვალ რელიგიურად რომ დაგიპყროს და მისი გავლენის ქვეშ მოექცე, რას აკეთებ? რომ მოგთხოვენ, მუსლიმანი ბევრი ვართ აჭარაში და მეჩეთი გვინდაო, რას ეუბნები.

***— ხომ გვთხოვენ, მუსლიმანური ექსპანსია ისედაც უკვე ხომ ხდება?***

— მერე ამერიკა, ევროპა იტყვის, ადამიანის უფლებები არ უნდა დაირღვეს და მეჩეთი უნდა აშენდესო. კი ბატონო, მეჩეთი აშენდება. შემდეგ მოგთხოვენ, ჩვენ ბევრი ვართ და პოლიტიკური პარტიის შექმნა გვინდაო და პოლიტიკურ პარტიას შექმნიან. იტყვიან, მოქალაქეობა გვაქვს, არჩევნებში მონაწილეობა გვინდაო და მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. შემოვა დიდი ფული, მათი პარტია გაიმარჯვებს, გავა უმაღლეს საბჭოში და გამოაცხადებს, ჩვენ უკეთესი ცხოვრების სურვილი გვაქვს და ვაცხადებთ დამოუკიდებლობას ან თურქეთთან შეერთებასო, როგორც თავის დროზე მემედ აბაშიძემ მეჯლისის სახელით აჭარა თურქეთს გამოგლიჯა, იგივე შეიძლება დატრიალდეს, ოღონდ პირიქით. ყველაფერი აქეთ მიდის.

მართალია, გვიღიმიან, ახლახან თურქეთის ელჩი ილია მეორეს შეხვდა, სადაც თქვა, ჩვენი მეგობრობისა და ურთიერთობების წინააღმდეგ პროპაგანდა მიდის და მას წინ უნდა აღვუდგეთო. შენ აგერ ჩვენს ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეებს აბუჩად იგდებ, საზღვარზე საქართველოს მოქალაქეები რომ გადადიან და გადმოდიან, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებ, ადამიანებად არ თვლი არც იქ და არც აქ, მე რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ და ზეგ, შენ უკვე ამ მეგობრობას ამოფარებული, არ განახორციელებ ისეთ ზრახვებს, რომლებიც საქართველოს მთლიანობას ზიანს მიაყენებს?

***— საზღვარზე შეურაცხყოფას აყენებენ?***

— ამის გამო თურქეთის საკონსულოსთან ბევრჯერ გამიმართავს აქცია. უბრალოდ, ჩვენი მოქალაქეების შეხედვა რომ არ მოეწონოთ, რაღაც უადგილოდ გაიცინონ, შეიძლება, ცემაში ამოწყვიტონ. ჟურნალისტებიც გაგვილახეს საზღვარზე და მაშინდელი აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, მაღალჩინოსნები ჩაერივნენ. მათ ბოდიში მოიხადეს და იმ ცვლაში ვინც მუშაობდა, გაათავისუფლეს, თუმცა დამოკიდებულება არ შეცვლილა, ჩვენი მოქალაქეები თურქეთში რომ ჩადიან, ისინი ზემოდან გვიყურებენ.

ერთ-ერთმა მოქალაქემ მითხრა, შეურაცხყოფა რომ მომაყენეს, ჩვენ წინ მდგარ მოხელეს ვუთხარი, აგერ რუსები რომ გადიან, მათ თავაზიანად რატომ მოექეცით, ჩვენ რომ ცუდად გვექცევითო. რუსეთი დიდი სახელმწიფოაო. რუსეთი დიდი რომ არის, ეშინიათ. ჩვენ პატარა რომ ვართ და გაჭირვებული, აბუჩად გვიგდებენ. ეს არის მათი კეთილმეზობლობა.

***— გამოსავალს რაში ხედავთ?***

— საქართველომ უნდა შექმნას კანონმდებლობა, სადაც ჩაიწერება ისეთი რეგულაციები, რომ მათ ვერ შეძლონ ჩვენი მოქალაქეების აბუჩად აგდება. ისინი ვალდებულებებს არ ასრულებენ. გადმოვლენ, რაღაც ფირმას შექმნიან, ხელშეკრულებას გააფორმებენ, რომ სახლის ან კორპუსის აშენება უნდათ, შემდეგ გადადიან თურქეთში, ამ საბუთს აჩვენებენ, გადმოაქვთ მილიონები და ჩვენს ხარჯზე მდიდრდებიან. აქ მოდიან და არავინ იცის, ვინ არიან. ეს ვიღაცამ ხომ უნდა გააკონტროლოს. ასევე მათი კომპანიები ტენდერებში იმარჯვებენ, მერე გარბიან და ჩვენი ბიუჯეტის ფულიც მიაქვთ. სად ვეძებოთ ისინი. პრობლემები არ გვაკლია. მათ მიხედვა უნდა. თურქები რომ ამას ბედავენ, ამ ყველაფერს საფუძველი თავის დროზე სააკაშვილმა ჩაუყარა. მან დიდი უბედურება დაგვატეხა თავს. მოვა დრო და ამას ყველა იგრძნობს.

# ზურაბ ბუდაღაშვილი: „თუ არ ვიტყოდი ოქრუაშვილზე, მელიასა და უგულავაზე იმას, რაც მათ უნდოდათ, პრობლემებს შემიქმნიდნენ“



20-21 ივნისის საქმეზე დაკავებული ზურაბ ბუდაღაშვილი აცხადებს, რომ მასთან საკანში რამდენიმეჯერ ყალბი სახელებითა და გვარებით შევიდნენ და დაემუქრნენ, თუ სასურველ ჩვენებას არ მისცემდა.

აქციის დაკავებულმა მონაწილემ გუშინ, 27 ნოემბერს, მოსამართლის წინაშე თქვა, რომ მელიას, ოქრუაშვილისა და უგულავას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ

– 4 ივლისს დაგვაკავეს, მერე გლდანის ციხეში გადამიყვანეს. 6 ივლისს, ღამის პირველის ნახევარზე, კარი გაიღო, კარანტინში ოთხნი ვიყავით. დასალაგებლად შემოვიდნენ. საკანი დაალაგეს და მარტო მე შევედი, დანარჩენები გადაანაწილეს. ვიფიქრე, რადგან პოლიტიკური მუხლი იყო, იგივე მუხლით დაკავებულებს შემოიყვანდნენ.

რამდენიმე წუთში სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი პიროვნება შემოვიდა, არც დაუმალავთ, პირდაპირ მითხრეს, რომ მე თუ არ ვიტყოდი ოქრუაშვილზე, მელიაზე და უგულავაზე იმას, რაც მათ უნდოდათ, პრობლემებს შემიქმნიდნენ. შენ უკან ხალხი დგას, ძმებიც გყავს და იმათზე იფიქრეო, მითხრეს.

ირონიულად გავიცინე, ასეთი რამე აქამდე კინოში მქონდა ნანახი, ასე პირდაპირ, არც მოერიდნენ, ისე მითხრეს. როგორც ჩანს, გალიზიანდნენ, შენი საქმის შენ იციო და გავიდნენ.

როგორც აღმოჩნდება ხოლმე, იმ დერეფანში არც ერთი კამერა არ არის. არავის გავაგებინე, არც ადვოკატს. ამ საქმეზე პოლიტიკური ელფერის შეძენა ხდებოდა და აღარ დავასხი ცეცხლზე ნავთი, ვიფიქრე, ცოტას გადახარშავდნენ და აზრზე მოვიდოდნენ. მეგონა, რომ ეს 30 წლის წინ გავიარეთ და უკან თუ დავბრუნდებოდით, არ მეგონა, თან ძალიან ღრმად უკან.

18 ივლისს იგივე განმეორდა. წარსულშიც ნასამართლევი ვარ და რენტგენივით ვცნობ, ვინ ვინ არის. დადასტურებულად ვიცი, ვინ არიან ეს პიროვნებები, პროკურატურა შემოვიდეს და ვეტყვი, ვინ იყვნენ. ყალბი სახელით და გვარებით არიან, სხვა საქმეებზეც მუშაობენ. პროკურატურასთან „ხოდი“ გვაქვს და თქვი, სამივეზე თუ არა, ოქრუაშვილზე ან უგულავაზე მაინცო. სახელი და გვარი ვიცი, მაღალჩინოსანია, პატიმარია და როგორც მითხრეს, მისი სახელი და გვარის გაცხადების უფლება არ მაქვს.

პროკურორი თუ შემოვა, სახელს და გვარს დავუსახელებ და რომელ კამერაში ზის, იმასაც ვიტყვი.

6 წელი კი არა, 26 რომ მომისაჯონ, ბოლომდე მივყვები. ციხეში ფსიქოლოგიური წნეხა მიდის. შემოვიდნენ არასამთავრობოები, პატიმრებს დარეკვას და პაემნებს უკრძალავენ.

ერთ კვირაში ჩემი ძმა აბსურდული ბრალდებით დააკავეს. ეს ჩემზე პირდაპირ სიგნალი იყო, მეორე ძმაზეც დაიწყო მუქარები, გერმანიიდან ჩამოგიყვანთო. თავიდან მითხრეს, პროკურატურიდან ვართო, მაგრამ ზუსტად ვიცი, პროკურატურიდან არ იყვნენ. ამას სხვა ორგანო, მაგალითად, სუს-ი აკეთებს, – განაცხადა ბრალდებულმა ზურაბ ბუღადაშვილმა.

ამ განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა 20-21 ივნისის ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებულთა საქმის პროკურორი ვაჟა თოდუა.

– სხდომაზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები, პოლიციის თანამშრომლები, მათ ისაუბრეს ბრალდებულების დაკავებაზე და სხვა გარემოებებზე, ასევე ერთ-ერთმა ბრალდებულმა მხოლოდ დღეს განაცხადა, რომ მის მიმართ მიმდინარეობდა გარკვეული სახის ზეწოლა, თუმცა ამის თაობაზე მას არ განუცხადებია რამდენიმე თვეა, – აღნიშნა პროკურორმა.

ვაჟა თოდუას განცხადებით, ბრალდების მხარე და სასამართლო შესაბამის ზომებს მიმართავენ ბუდაღაშვილის მიერ მიწოდებული განცხადებაზე შემდგომი რეაგირებისთვის.

– ბრალდებულმა მიუთითა სასამართლო სხდომაზე, რომ მასთან შესული იყო მისთვის უცნობი ორი ადამიანი სამოქალაქო ფორმით, არ მომხდარა ამ ადამიანების იდენტიფიცირება, არ იცის, ვინ არიან ეს ადამიანები.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები, ბუნებრივია, დაიწყება გამოძიება, – განაცხადა პროკურორმა თოდუამ.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ 20-21 ივნისის ღამით ჯგუფური ძალადობის საქმის არც ერთ ბრალდებულს, რომლებიც რამდენიმე თვეა პენიტენციარულ დაწესებულებაში იმყოფება, ზეწოლის შესახებ არ უსაუბრიათ, რაც თავად ზურაბ ბუდაღაშვილმაც დაადასტურა.

– ბრალდებული რამდენიმე თვეა, პენიტენციარულ დაწესებულებაში იმყოფება და ზეწოლის შესახებ არ განუცხადებია, ასევე ცნობილია, რომ არაერთი ბრალდებულია მოცემულ საქმეზე, თუმცა ამაზე არავის უსაუბრია.

დღევანდელ სხდომაზე ზურაბ ბუდაღაშვილმა განაცხადა, რომ ის დეტალურად ისაუბრებს შემდგომში ამ საკითხებზე. ჩვენ, ბუნებრივია, თუ მივიღებთ დეტალურად ინფორმაციას, რომ არსებობს კონკრეტული დანაშაულის ნიშნები, დაიწყება გამოძიება.

თავად ბრალდებულმაც დაადასტურა, რომ 5 თვის განმავლობაში ზეწოლის თაობაზე არაფერს ამბობდა და დღევანდელ სხდომაზე გადაწყვიტა, ამ საკითხებზე ესაუბრა. ბუნებრივია, მივიღებთ ყველა ზომას, რათა აღნიშნული საკითხი გაირკვეს, – დასძინა ვაჟა თოდუამ.



# ცაგერში 2 პოლიციელი მოკლეს

## 1 მათგანი დეპუტატ კარლო კოპალიანის ახლობელია




26 ნოემბერს სოფელ ლაჯანში 2 პოლიციელი მოკლეს და 1 პირი დაჭრეს.

ლაჯანის საზოგადოებრივ ცენტრში მომხდარს წინ უძღოდა შელაპარაკება პოლიციელებს შორის, რის შემდეგაც მათ ერთმანეთს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

შემთხვევის ადგილას მისულ ექიმებს ერთი სამართალდამცველი გარდაცვლილი დახვდათ, მეორე კი საავადმყოფოში მისვლისთანავე გარდაიცვალა.

ერთ-ერთი მოკლული „ქართული ოცნების“ დეპუტატ კარლო კოპალიანის სიძეა.

გუშინ, 27 ნოემბერს, დეპუტატმა კოპალიანმა „კურიერთან“ კომენტარი გააკეთა.

– ერთი ჩემი ოჯახის ახლობელია, მეორე მისი თანამშრომელი, მეგობარი. რამდენიმე წელი მუშაობდნენ ერთად პოლიციაში, იყვნენ ძალიან კარგი მუშაკები პოლიციის, სამწუხაროდ, რა მოხდა, არავინ არ იცის, იმედია, რომ დადგინდება.

ვფიქრობ, რომ ეს იყო კონფლიქტი ყოფით ნიადაგზე, რომელიც დამთავრდა გასროლით, რომელიც დამთავრდა სამწუხაროდ ტრაგედიით, – განაცხადა „კურიერთან“ ინტერვიუში კარლო კოპალიანმა.

ინციდენტის დროს მესამე დაჭრილი ქუთაისის რეფერალურ საავადმყოფოში მკურნალობს. დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურია. მას ჭრილობა მარცხენა ბარძაყში აქვს მიყენებული.

რეფერალური ჰოსპიტლის ექიმ თემურ აფხაძის თქმით, დაშავებულის მდგომარეობა სტაბილურია.

– შემოიყვანეს 60 წლამდე მამაკაცი, მარცხენა ბარძაყის ზედა ნაწილში ჭრილობით, მას უტარდება კვლევები და მკურნალობა. მისი მდგომარეობა სტაბილურია, პაციენტი კონტაქტურია და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, – განაცხადა თემურ აფხაძემ.

ექიმი ვერ ადასტურებს, ჭრილობა რით არის მიყენებული, მისი თქმით, მამაკაცი ცაგერის საავადმყოფოდან დამუშავებული ჭრილობით შევიდა და მისთვის უცნობია, რა სახის ჭრილობაა. კითხვაზე, რატომ გახდა ქუთაისში გადაყვანა საჭირო, პასუხობს, რომ მამაკაცი დამატებითი კვლევების მიზნით გადაიყვანეს ქუთაისში.

საქმეს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი იძიებს. მომხდარზე გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს. რაც განზრახ მკვლელობას ითვალისწინებს.

# სისხლიანი დაპირისპირება პანკისის ხეობაში

## არიან დაჭრილები, დაღუპულია ერთი ადამიანი



პანკისის ხეობაში, სოფელ საქობიანეში, ორ გვარს შორის დაპირისპირების შედეგად 1 ადამიანია მოკლული, 4 კი – დაჭრილი.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ადგილიდან იუწყება, მუთოშვილებსა და ქავთარაშვილებს შორის დაპირისპირება, სავარაუდოდ, წარსულში არსებულ კონფლიქტს უკავშირდება, კიდევ ერთი ვერსიით კი ორ ოჯახს შორის კონფლიქტი ჰესის მშენებლობის თაობაზე მოხდა.

დაპირისპირებულებმა ერთმანეთს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

დაჭრილები საავადმყოფოში გადაიყვანეს.

– მომხდარს პირად კონფლიქტთან არავითარი საერთო არ აქვს. ეს არის ჰესის მშენებლობის საკითხზე დაწყებული დავა და იმ ადამიანებმა, რომლებიც ლობირებდნენ ჰესის მშენებლობის საკითხს ხეობაში, ვის უკანაც დგას მთავრობა, პოლიცია, მოკლეს ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჰესის მშენებლობას.

ამის შესახებ პანკისის მკვიდრმა ლუიზა მუთოშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

მისივე თქმით, 2 გვარს შორის მომხდარი დაპირისპირებისას მოკლული პირი მისი ბიძაა.

მუთოშვილი ორ გვარს ასახელებს, რომლებიც ჰესის მშენებლობის მომხრეები არიან და მათ ხელისუფლება ლობირებს.

– ზოგიერთი ჯგუფი ცდილობს, პანკისში მომხდარი ფაქტი პირად დავამდე და გარჩევამდე დაიყვანოს, მაგრამ ამას პირად კონფლიქტთან არავითარი საერთო არ აქვს. ეს არის ჰესის მშენებლობის საკითხზე დაწყებული დავა და იმ ადამიანებმა, რომლებიც ლობირებდნენ ჰესის მშენებლობის საკითხს ხეობაში, ვის უკანაც დგას მთავრობა, პოლიცია, მოკლეს ადამიანი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჰესის მშენებლობას.

ღიად ხეობაში ვინც ამ საკითხს ლობირებს, არიან ქავთარაშვილები და ფარეულიძეები. დაპირისპირება დაახლოებით 1-2 თვის წინაც მოხდა იმავე საკითხთან დაკავშირებით, თუმცა რაღაცნაირად ჩაწყნარდა სიტუაცია. დღეს ყველაზე მძიმე შედეგი დადგა და შეიწირა ადამიანის სიცოცხლე, – განაცხადა ლუიზა მუთოშვილმა.

დაჭრილია მისი ბიძაშვილი, გვარად მუთოშვილი.

– სტაბილურია მისი მდგომარეობა. მეორე მხრიდან არ მაქვს არანაირი ინფორმაცია, ვინ და რამდენი ადამიანია დაჭრილი. დაჭრა ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა. დაკავებული ჯერ არავინაა და ეჭვი მეპარება, საერთოდ ვინმე დააკავონ, იმიტომ, რომ მათ ინტერესებს იცავენ, – თქვა ლუიზა მუთოშვილმა.

# 2 ქართველს საბერძნეთში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

## მათ ტაქსის მძღოლს ფული არ გადაუხადეს და სასიკვდილოდ სცემეს



26 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ათენის გაერთიანებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და 2 ქართველ მამაკაცს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს 19 და 20 წლის იყვნენ, აგრეთვე, მესამეს, რომელმაც გაქცევა და მიმალვა შეძლო, სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ ათენში ტაქსის მძღოლის განზრახ მკვლელობისა და გაძარცვისთვის.

დანაშაული 2011 წლის 3 ივლისს, გამთენიისას მოხდა ათენში, კიფსელის რაიონში, დრაკუსა და დორიანის ქუჩების გადაკვეთაზე.

სასამართლოზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს მოვლენების თანმიმდევრობა: გაზის (რაიონი ათენში) დატოვების შემდეგ, სადაც ახალგაზრდები ერთობოდნენ და ალკოჰოლს სვამდნენ, ისინი ტაქსში ჩასხდნენ და მძღოლს კიფსელის რაიონში წაყვანა მოსთხოვეს. როდესაც დრაკუს და დორიანის ქუჩების გადაკვეთაზე მივიდნენ, იმის მაგივრად, რომ მძღოლისთვის მგზავრობის საფასური გადაეხადათ, ქართველები მას თავს დაესხნენ. მძღოლმა წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც დამნაშავეებმა იგი სასტიკად სცემეს – მახვილ საგანს ურტყამდნენ სხეულზე და თავში, შემდეგ აიღეს სალარო ფულით, ქვითრებით, მსხვერპლის მობილური ტელეფონი და მანქანის გასაღები და ფეხით გაეცალნენ დანაშაულის ადგილს.

მძიმედ დაჭრილმა მძღოლმა შეძლო მანქანიდან გადმოსვლა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. იგი ორმა გამვლელმა შეამჩნია და სასწრაფო დახმარება გამოიძახა.

დილის 5:36 საათზე პაციენტი საავადმყოფოში გარდაიცვალა ქალა-ტვინის ტრავმის შედეგად.

უზენაესმა სასამართლომ არ ცნო დაცვის მხარის არგუმენტი, რომ ორივე ქართველი ძალიან ახალგაზრდა იყო (მოზარდობის შემდგომ ასაკში), პირიქით, სასამართლომ დაადგინა, რომ „ისინი თავიანთ ქმედებებს კარგად აცნობიერებდნენ“ და ძალაში დატოვა ათენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება – სამუდამო პატიმრობა.

# გიორგი ბარათაშვილს კვიპროსში სამუდამო პატიმრობა მიესაჯა



კვიპროსის სასამართლომ 40 წლის გიორგი ბარათაშვილს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის გამო სასჯელის მაქსიმალური ზომა მიუსაჯა.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, მსჯავრდებულმა გასული წლის ნოემბერში 56 წლის ქალს მანქანაში დანით 16 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და 1.500 ევრო მოიპარა.

დაკავებული დანაშაულს აღიარებს.

# კუმისის ტბასთან 41 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს



მარნეულში, კუმისის ტბასთან, 41 წლის მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, 41 წლის მამაკაცი ხანძრის შედეგადაა დაღუპული.

უწყების ცნობით, გამოძიება 188-ე მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს.

ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცი რამდენიმე დღის წინ მეგობრის სახლში იმყოფებოდა, სადაც ხანძარი გაჩნდა. მათი თქმით, ის ჯერ მოკლეს, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, ცეცხლი გააჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში უთხრეს, ამ ვერსიასთან დაკავშირებით კომენტარს ვერ გააკეთებენ.



## მერკელი: „ამ ეტაპზე ევროპა თავს მარტო ვერ დაიცავს“

– ნატო დღეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცივი ომის დროს.

ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გუშინ, 27 ნოემბერს, ბუნდესტაგში განაცხადა.

ნატოს სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე გერმანიის კანცლერი აცხადებს, რომ ევროპა ამ ეტაპზე თავს მარტო ვერ დაიცავს და მას ალიანსი სჭირდება.

– ნატოს შენარჩუნება დღეს ჩვენსავე ინტერესშია, – განაცხადა მერკელმა.

მისივე თქმით, გერმანიამ ალიანსის ხარჯები 1,18%-ით გაზარდა, 2030 წლისთვის კი ქვეყანა ნატოსთვის ხარჯებს 2%-ით გაზრდის.

ნატოს ლონდონის სამიტი მომავალ კვირაში ბრიტანეთის დედაქალაქში გაიმართება.

სამიტის ფარგლებში საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ბრიტანეთის პრემიერი ბორის ჯონსონი შეხვედრებს გამართავენ.

## ალბანეთში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა



ალბანეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 21-მდე გაიზარდა, დაშავებულია 600-ზე მეტი ადამიანი.

ქვეყანაში 27 ნოემბერი გლოვის დღედ გამოცხადდა.

იმ მოქალაქეებმა, რომლებსაც სახლები დაენგრათ, ღამე სპორტულ მოედნებსა და სტადიონებზე გაშლილ 300-მდე კარავში გაათიეს.

ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სამძებრო-სამაშველო ოპერაციაში მთელი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის 2.000 ჯარისკაცი და 1.900 პოლიციელი.

სამინისტროს ინფორმაციით, ალბანეთს ეხმარებიან საგანგებო სიტუაციის სპეციალისტები იტალიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, თურქეთიდან, ხორვატიიდან, კოსოვოდან, მონტენეგროსა და რუმინეთიდან, შეერთებული შტატები კი ქვეყანას რეგიონული ოფისის საშუალებით ეხმარება.

შეგახსენებთ, რომ 26 ნოემბერს ალბანეთში 6,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

### კალეიდოსკოპი

## მამაკაცმა ბანკი გაძარცვა და დაპატიმრება ითხოვა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკა-რატონის მცხოვრებმა ბანკი გაძარცვა და მოლარეს დაუტოვა ფურცელი წარწერით: „იმედი მაქვს, დამიჭერენ“.

18 ნოემბერს 73 წლის სენდი ჰოკინსი ადგილობრივი ბანკის განყოფილებაში მივიდა, მოლარესთან მისულმა კი მას 1,1 ათასი დოლარის მიცემა მოსთხოვა. როდესაც მოლარემ კლიენტს მისი დებეტური ბარათი მოსთხოვა, ჰოკინსმა უპასუხა: „ეს ძარცვაა, მე შეიარაღებული ვარ“.

თავდამსხმელ მამაკაცს ეცვა მაისური წარწერებით: „ტრამპი“ და „ამერიკას ისევ დიდ ქვეყნად ვაქცევთ“. მან ხელი წელთან მიიტანა, რომ ამით ეჩვენებინა, იარაღი ჰქონდა და შემდეგ მოლარეს ბარათი გადასცა. მასში ეწერა: „მომეცით 1,1 ათასი დოლარი, დაუყოვნებლივ. სიგნალიზაცია არ ჩართოთ. იმედი მაქვს, დამიჭერენ“.

როდესაც მოლარემ ორი ათასი დოლარი გადაუთვალა, ჰოკინსმა უთხრა, რომ ეს მეტისმეტად ბევრი იყო. მან ისევ 1,1 ათასი დოლარი მოითხოვა, მოთხოვნილი თანხა 100 დოლარიანი კუპიურებით აიღო და წავიდა.

შერიფის თანაშემწემ მიიღო როგორც ბანკის დარბაზის, ასევე მეზობელი ორგანიზაციების სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. ახლოს მდებარე სპორტ-ბარის მენეჯერმა და მამამისმა ჰოკინსი იცნეს და მისი მისამართი სამართალდამცავებს აცნობეს. ამის შემდეგ მამაკაცი დააპატიმრეს.

სასამართლოზე გაირკვა, რომ ჰოკინსი პენსიაზე იმყოფებოდა და კრიმინალური წარსული არ ჰქონია. ჰოკინსის სახლის მფლობელმა სკოტ ბეილმა განაცხადა, რომ მამაკაცი მეუღლის დაკარგვის შემდეგ, რომელიც 2013 წელს კიბოთი გარდაიცვალა, ძალიან შეიცვალა.

– ის მეტად სასიამოვნო ადამიანი იყო, – განაცხადა ბეილმა, – ალბათ, მან რაღაც კრიტიკულ მომენტს მიაღწია.

## „სახიფათო ქალმა“ მოტყუებულ მამაკაცებს 139 ათასი დოლარი მოჰპარა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ მაიამი-ბიჩში დააპატიმრეს ქალი, რომელიც მამაკაცებს ეცნობოდა, შემდეგ კი მათ საათებს ჰპარავდა.

პოლიციის მონაცემებით, 25 წლის კეიტლინ ვოიტოვიჩს მინიმუმ სამი ქურდობა აქვს ჩადენილი. ის მამაკაცებს ჰპარავდა ფულს, ძვირფას მაჯის საათებსა და სხვა ნივთებს. მის მიერ მოპარული ნივთების ჯამურმა ღირებულებამ 139 ათასი დოლარი შეადგინა. პოლიციის წარმომადგენელმა მას „სახიფათო ქალი“ უწოდა.

პირველი ქურდობა, რომელიც პოლიციისთვის გახდა ცნობილი, 2018 წლის მაისში მოხდა. ვოიტოვიჩმა თავისი მსხვერპლი კლუბში გაიცნო, რის შემდეგაც ისინი სასტუმროს ნომერში განმარტოვდნენ. როდესაც მამაკაცმა გაიღვიძა, ქალი უკვე წასული იყო და თან ჰქონდა წაღებული მისი 12 ათას დოლარად ღირებული მაჯის საათი, 12 ათასი დოლარი ნაღდი ფული, მობილური ტელეფონი და 600 დოლარად ღირებული გუჩის ქამარი.

რამდენიმე თვის შემდეგ ვოიტოვიჩმა 25 წლის ნიუიორკელი გაქურდა, რომელსაც იმავე კლუბში შეხვდა, დილით კი მამაკაცმა აღმოაჩინა, რომ ქალთან ერთად გამქრალი იყო 56 ათას დოლარად ღირებული მაჯის საათი.

მესამე დაზარალებული ამტკიცებს, რომ იანვარში ვოიტოვიჩს სასტუმროში შეხვდა. ქალი თავად მივიდა მასთან, გაეცნო, შემდეგ კი ნომერში ავიდნენ. ამჯერად მამაკაცმა გადაწყვიტა, ძვირფასი ნივთები სეიფში შეენახა. სეიფთან ყოფნისას მან იგრძნო, რომ ქალი მის ზურგს უკან იდგა. რა მოხდა შემდეგ, აღარ ახსოვს. მან დაკარგა 10 ათას დოლარად ღირებული როლექსის საათი, კიდევ ორი საათი, თითოეული 20 ათასი დოლარის ღირებულების, ნაღდი ფული და სხვა ნივთები.

ამ ძარცვის შემდეგ პოლიციელებმა დამნაშავის თითების ანაბეჭდების პოვნა მოახერხეს. ეს მათ ქალის ვინაობის დადგენაში დაეხმარა. ვოიტოვიჩს მას შემდეგ მიაგნეს, რაც ავტომობილის ნომრების ამომცნობი სათვალთვალო კამერა ამოქმედდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## აშშ რუსეთს ბრალს სდებს



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე დევიდ შენკერმა განაცხადა, რომ რუსი სამხედროები ლიბიის დესტაბილიზაციას ეწევიან.

შენკერის აზრით, რუსები ლიბიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაერივნენ და ერთ-ერთ მხარეს ეხმარებიან.

– საუბარია ეწ. ლიბიის ნაციონალურ არმიაზე, რომელსაც სათავეში ჰეპტერი უდგას, – თქვა შენკერმა.

ამერიკელმა დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ სწორედ რუსების დახმარებით ლიბიის ნაციონალური არმია რეალურ ძალად გადაიქცა და დედაქალაქ ტრიპოლის აღებაც ცადა.

– შედეგად სამოქალაქო ომი კიდევ უფრო მეტი ძალით გაჩაღდა, – განაცხადა შენკერმა.

## 7 ისლამისტს სიკვდილით დასჯიან



7 ისლამისტს, რომლებიც 2016 წელს ბანგლადეშში მდებარე კაფეს თავს დაესხნენ და 22 ადამიანი მოკლეს, სიკვდილით დასჯიან.

დაკაში 2016 წლის პირველ ივლისს შეიარაღებულმა მამაკაცებმა კაფეში მსხდომი ადამიანები მძევლად აიყვანეს. 12-საათიანი ალყა 22 ადამიანის მკვლელობით დასრულდა.

გარდაცვლილთა უმეტესობა უცხოელი ტურისტი იყო.

არმიის მიერ განხორციელებული შტურმის დროს მხოლოდ 13 მძევლის გადარჩენა მოხერხდა.

## თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციას გააგრძელებს



გაიმართა თურქეთის უშიშროების საბჭოს სხდომა. მასზე სიტყვით გამოვიდა ქვეყნის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი.

მან განაცხადა, რომ თურქეთი სირიაში სამხედრო ოპერაციას გააგრძელებს.

– ჯერჯერობით მიზანს ვერ მივაღწიეთ, ოპერაციაც გაგრძელდება, – ამბობს ერდოღანი.

მსოფლიო თანამეგობრობა თურქეთის მოქმედებას გმობს და აქციის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ტოტენჰემმა და პსჟ-მ ორბურთიანი ჩამორჩენები აღმოფხვრეს

### ა ჯგუფი

**რეალი-პსჟ 2:2**

**მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ**

1:0, 2:0 ბენზემა (17, 79), 2:1 მბაპე (81), 2:2 სარაბია (83)

რეალმა უკვე იცოდა, რომ ფლეი ოფში იყო გასული, ამიტომაც მოედანზე თავისუფლად გავიდა. თავის მხრივ, მერვედფინალში თამაში ფრანგებსაც დაბევვებული ჰქონდათ. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ რომელი დაიკავებდა 1-2 ადგილს.

პარიზულმა გუნდმა შეუძლებელი შეძლო, გასვლაზე „ბლანკოსს" 0:2-დან თამაში შემოუტრიალა, ფრეს 2:2-ს მიაღწია და პირველი ადგილი დაიბევა.

რეალი 79-ე წუთზე ბენზემას დუბლით იგებდა, მბაპემ და სარაბიამ კი გოლები 2-წუთიან ინტერვალში გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ მსაჯმა 42-ე წუთზე რეალის კარში პენალტი დანიშნა, მეკარე კურტუას კი წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები გააუქმა.

**გალათასარაი-ბრიუგე 1:1**

**სტამბოლი. ტელეკომი**

1:0 ბუიუკი (11), 1:1 დიატა (90)

გაძევება: მატა (ბრიუგე, 90), დიატა (ბრიუგე, 90)

ბრიუგემ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა, სასურველი ქულა აელო სტამბოლიდან. არადა, ბელგიელები მთელი თამაშის განმავლობაში აგებდნენ – გალათასარაი დებიუტში დაწინაურდა და დაცვაზე გააკეთა აქცენტი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაძლო.

ზედ საფინალო სასტვენის წინ მსაჯმა არასპორტული საქციელის გამო სტუმართა გუნდის 2 ფეხბურთელი გააძევა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| 2.რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-7 | 8 |
| 3.ბრიუგე | 5 | 0 | 3 | 2 | 3-9 | 3 |
| 4.გალათასარაი | 5 | 0 | 2 | 3 | 1-9 | 2 |

### ბ ჯგუფი

**ცრვენა ზვეზდა-ბაიერნი 0:6**

**ბელგრადი. რაიკო მიტიჩი**

0:1 გორეცკა (14), 0:2, 0:3, 0:4, 0:5 ლევანდოვსკი (53პ, 60, 64, 67), 0:6 ტოლისო (89)

ბაიერნი ფლეი ოფში გასული იყო, მაგრამ მაინც ბოლომდე დაიხარჯა და რაიკო მიტიჩის სახელობის სტადიონზე ცრვენა ზვეზდა 6:0 გაანადგურა.

ბავარიელთა თავდამსხმელმა რობერტ ლევანდოვსკიმ პოკერი შეასრულა. ამაში საინტერესო ის არის, რომ ტურნირზე ყველაზე სწრაფი პოკერია – პოლონელმა 4 გოლის გატანას 14 წუთი და 31 წამი მოანდომა. ამასთან, ლევანდოვსკი 46 გოლით ჩემპიონთა ლიგაზე ბაიერნის ბომბარდირი გახდა, მთლიანობაში კი მიმდინარე სეზონში მის ანგარიშზე 30 შეხვედრაში 33 გოლია. პოლონელი ფორვარდი 10 გოლით მიმდინარე ტურნირის ბომბარდირია.

**ტოტენჰემი-ოლიმპიაკოსი 4:2**

**ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური**

0:1 ელ-არაბი (6), 0:2 სემედო (19), 1:2 დელე ალი (45), 2:2 კეინი (50), 3:2 ორიე (73), 4:2 კეინი (77)

ტოტენჰემმა ჩემპიონთა ლიგაზე მორიგი თამაში შემოატრიალა. „დეზები" შინაურ არენაზე ოლიმპიაკოსთან 2 ბურთით ჩამორჩა, მაგრამ 4 გაუტანა და ფლეი ოფში გასვლა გაინაღდა.

ჰარი კეინმა დუბლი შეასრულა და ამ სეზონში ყველა ტურნირზე 23 მატჩში 23 გოლი გაიტანა. გარდა ამისა, ინგლისელმა ფორვარდმა ყველაზე სწრაფად შეძლო ჩემპიონთა ლიგაში 20 გოლის გატანა. ამისათვის მას 24 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

მანამდე ეს მიღწევა ალესანდრო დელ პიეროს ეკუთვნოდა, რომელმაც 20 ბურთი 26 შეხვედრაში გაიტანა. მე-3 ადგილზე რუუდ ვან ნისტელროოია – 20 გოლი 27 მატჩში.

ტოტენჰემის ახალმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ კი ჩემპიონთა ლიგაზე უნიკალური რეკორდი დაამყარა. ის გახდა პირველი მწვრთნელი, რომელმაც ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფლეი ოფში 6 გუნდი გაიყვანა.

პორტუგალიელმა ეს ტოტენჰემამდე მანჩესტერ იუნაიტედში, ლონდონის ჩელსიში, მადრიდის რეალში, მილანის ინტერსა და პორტუში მოახერხა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 21-4 | 15 |
| 2.ტოტენჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 17-11 | 10 |
| 3.ცრ.ზვეზდა | 5 | 1 | 0 | 4 | 3-19 | 3 |
| 4.ოლიმპიაკოსი | 5 | 0 | 1 | 4 | 7-14 | 1 |

### ც ჯგუფი

**ატალანტა-დინამო (ზ) 2:0**

**მილანი. სან სირო**

1:0 მურიელი (27პ), 2:0 გომესი (47)

ატალანტამ 2:0 მოუგო ზაგრების დინამოს და ფლეი ოფში გასვლის შანსი დაიტოვა. ბერგამოელები საშინაო მატჩებს მილანში ატარებენ და თავს ისე კომფორტულად ვერ გრძნობენ, როგორც შინაურ არენაზე.



**მანჩესტერ სიტი-შახტარი 1:1**

**მანჩესტერი. ეტიჰადი**

1:0 გიუნდოგანი (56), 1:1 სოლომონი (69)

მანჩესტერ სიტის პირველი ადგილის დასაკავებლად ფრეც აძლევდა ხელს და ეს ამოცანა გადაჭრა, თუმცა სიტი ვერაა ისეთ ფორმაში, როგორშიც გასულ წელს იყო.

დონეცკელთათვის კი ეს ქულა ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

დონბასელთა ქართველი მცველი დავით ხოჭოლავა სათადარიგო იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-3 | 11 |
| 2.შახტარი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-10 | 6 |
| 3.დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 9-9 | 5 |
| 4.ატალანტა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-12 | 4 |

### დ ჯგუფი

**იუვენტუსი-ატლეტიკო 1:0**

**ტურინი. ალიანც სთედიუმი**

1:0 დიბალა (45)

ტურინის იუვენტუსმა გასულ ტურში მოიპოვა ფლეი ოფის საგზური, მაგრამ ატლეტიკოს მაინც მოუგო – 1:0. ერთადერთი გოლი ტურინელთა არგენტინელმა შემტევმა პაულო დიბალამ პირველი ტაიმის კომპენსირებულ დროში გაიტანა.

იუვეს თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ ჩემპიონთა ლიგაზე 175-ე მატჩი ჩაატარა და პაოლო მალდინის გადაასწრო. ახლა მხოლოდ იკერ კასილიასს ჩამორჩება, რომლის რეკორდამდე 13 შეხვედრა აკლია.

იუვენტუსმა ჯგუფური ეტაპის სამივე საშინაო მატჩი უკანასკნელ 14 წელიწადში პირველად მოიგო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მხოლოდ მაურიციო სარის იუვენტუსი არ დამარცხებულა ტოპ 5-ის გუნდებიდან ამ სეზონში ყველა ტურნირზე – 15 მოგება და 3 ფრე.

**ლოკომოტივი-ლევერკუზენი 0:2**

**მოსკოვი. რჟდ არენა**

0:1 ჟამალეტდინოვი (11სკ), 0:2 ბენდერი (54)

ლევერკუზენმა სტუმრად 2:0 სძლია ლოკომოტივს, 6 ქულით მე-3 ადგილზე გადავიდა და ფლეი ოფში გასვლის მინიმალური შანსი დაიტოვა.

„რკინიგზელები" კი არათუ მერვედფინალში, არამედ ევროპა ლიგაზეც ველარ გააგრძელებენ ასპარეზობას.

არადა, პირველ ტურში გამარჯვების შემდეგ იური სიომინის გუნდმა ტურნირზე ზედიზედ 4 მატჩი წააგო და 3-ვე საშინაო შეხვედრაში მარცხი იწვნია.

აღსანიშნავია, რომ ლევერკუზენელებმა მიმდინარე ტურნირზე 5 გოლი გაიტანეს და აქედან 3 ავტოგოლია. 30 წლის მცველმა სვენ ბენდერმა კი ევროტურნირებზე პირველად გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2.ატლეტიკო | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 3.ლევერკუზენი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 4.ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |

# რუსეთი სასამართლოს ელოდება, უელსი ჩასაფრებულია

როგორც უკვე ცნობილია, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (ვადა) რეკომენდაცია გასცა, უახლოესი 4 წლის განმავლობაში რუსეთს ყველა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა აუკრძალონ.

გამოცემის მტკიცებით, შესაძლოა, რუსეთის ნაკრებს 2020 წლის ევროპირველობასა და 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება არ მისცენ.

ფიფას პრესსამსახურმა რუსეთის მუნდიალი 2020-დან შესაძლო მოკვეთის თაობაზე განცხადება გაავრცელა.

ვნახოთ, რა წერია ფიფას განცხადებაში:

– თუ 9 დეკემბერს ვადის აღმასრულებელი კომიტეტი სანქციათა ყველა პაკეტს მიიღებს, მაშინ რუსეთი მუნდიალზე მხოლოდ ნეიტრალური გუნდის ფორმულირებით წარდგება, ანუ ჰიმნისა და დროშის გარეშე. ვადის აღმასრულებელი კომიტეტის საბოლოო განხილვას დაველოდებით. ჯერჯერობით ფიფა არ მიიღებს გადაწყვეტილებას. ფიფა მუდმივ კონტაქტზეა მათთან.

ვადის ანგარიში ბრიტანელმა ადვოკატმა ჯონათან ტეილორმა შეადგინა, რომელიც გვამცნობს, რომ კოლეგია რამდენიმე წელია სწავლობს რუსეთის მიერ ანტისადოპინგო გლობალური წესების დარღვევას.

ანგარიშიდან დადგინდა, რომ რუსები განზრახ მანიპულირებდნენ ანალიზთა ბაზის მონაცემთა შედეგებით, რომლებიც ვადას გადაეცა, რათა მათი სპორტსმენების წარუმატებელი ანალიზები დაემალათ.

მოხსენებაში აგრეთვე იტყობინებიან, რომ აუცილებელია, რუს ჩინოვნიკებს აეკრძალოთ სპორტულ ღონისძიებებზე დასწრება და რუსეთს აეკრძალოს ნებისმიერი ტურნირის მასპინძლობა.

საკითხი 9 დეკემბერს ვადის აღმასკომზე განიხილება და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

რუსეთთან დაკავშირებულ დოპინგსკანდალს ყურადღებით აკვირდება უელსი და სურს, სარგებლობაც მიიღოს.

როგორც მოგეხსენებათ, უელსი გასულია ევროპის ჩემპიონატზე და მისთვის სასურველი იქნება, თუ მასპინძელი ქვეყანაც გახდება. ბრიტანული მედიის ცნობით, თუ რუსეთი დასაჯეს და ევრო 2020-ის მატჩების პეტერბურგში გამართვის ნება არ დართეს, უელსი უეფას თავის კანდიდატურას შესთავაზებს.

საუბარია კარდიფის „მილენიუმის" სტადიონზე, რომელიც 74.500 მაყურებელს იტევს.

უელსს მანამდეც ჰქონდა შეტანილი განაცხადი ევრო 2020-ის მასპინძლობაზე, მაგრამ 12 ქალაქში ვერ მოხვდა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## შედეგები

**26 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

გალათასარაი-ბრიუგე ............ 1:1
ლოკომოტივი-ლევერკუზენი .... 0:2
ატალანტა-დინამო (ზ) ............ 2:0
სიტი-შახტარი ............ 1:1
რეალი-პსჟ ............ 2:2
ტოტენჰემი-ოლიმპიაკოსი ........ 4:2
ცრვენა ზვეზდა-ბაიერნი ........... 0:6
იუვენტუსი-ატლეტიკო ............ 1:0

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-სტოკი ............ 1:0
ლუთონი-ჩარლტონი ............ 2:1
მილუოლი-უიგანი ............ 2:2
ფულემი-დერბი ............ 3:0
ჰადერსფილდი-სუონსი ............ 1:1
რედინგი-ლიდსი ............ 0:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.მირენი-ჰიბერნიანი ............ 1:2

# სამგლოვიარო განცხადებები



## ტოლიკი (ტუტკა) შულაიას გახსენება

ტუტკა, უშენობით 15-მა წელმა უმნიშვნელო ნერვისა თუ თითოეული უჯრედის გაუსაძლის ტკივილში გაიარა. ამბობენ, დრო მკურნალიაო. არ დაიჯეროთ, დრო ის უძლეველი ფენომენი ყოფილა, რომელიც, რაც უფრო მეტად ხანგრძლივდება, თურმე მით უფრო გიმძაფრებს სიმარტოვისა და მონატრების შეგრძნებას. ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ შენი დედიკო, დები, დისშვილები და ახლო ნათესავები იქნებიან.

ჩემო შვილო, ტუტკა, შენ არავის ჰგავდი, შენ ყველაზე ერთგული, კეთილი, სათნო ადამიანი იყავი. შენ იყავი ნაღდი ქართველი, კარგი შვილი, ნამდვილი მეგობარი და ვაჟკაცი. შენი მოულოდნელი გარდაცვალება თავზარდამცემი იყო ყველასათვის. თხუთმეტი წლის განმავლობაში არ გასულა არც ერთი დღე შენი სახელის ხსენების გარეშე. სამუდამო ტკივილი დატოვე ოჯახისა და ნათესავების მეხსიერებაში და, რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისი ხდება უშენობა. თხუთმეტი წელია, თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ დედაშენსა და შენს დებს. ტუტკა! დრო უფრო აღრმავებს შენი უდროოდ წასვლით გამოწვეულ უსაშველო ტკივილს. ჩვენ 28 ნოემბერს შევიკრიბებით შენს საფლავთან, შეისმება კიდევ ერთი უდროოდ წასული ვაჟკაცის შესანდობარი და, თუკი მათი ეს ღაღადისი შენამდე მოაღწევს, ნუ დაღონდები, მხოლოდ მათი გულებიდან წამოსული სითბო შეუშვი გულში და დარწმუნდები, როგორ გვიყვარხარ, შვილო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი და ალალი სული. გჯეროდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, სანამ ჩვენ ვართ.

შენ მიჰყვებოდი ცხოვრების აღმართს
ისე, ვით ნავი მიაპობს ტალღებს,
ფიქრობდი დიდი კმაყოფილებით,
ბედნიერებას ნეტავ რა დალევს?
და უცებ ქარი ამოქროლდა და
დაგვიმსხვრია ნავი ოცნების,
შენ შეუერთდი იმ „ნავის" მსხვრევას
და დაგვიტოვე ცრემლი გოდების.

*შენი გულდამწვარი დედა მიმოზა და შენი დები*



## სამარადისო ხსენება

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველ მძევალთა არმიამ დაკარგა ერთ-ერთი საიმედო უფროსი თაობის წარმომადგენელი, უხუცესი სპორტსმენი, ფეხბურთის დიდი ქომაგი, კოლხური სტუმართმასპინძლობის დიდი მესვეური, დარდიმანდი, წიგნიერი კოლორიტი, კაცურკაცობის ეტალონი, ბატონი

## ინდიკო ერასტოს ძე ბიბლაია

ძნელბედობის ჟამს მან არ დატოვა თავისი სოფელი, ნათესავები და მეზობლები, ჯოჯოხეთი გამოიარა. შედეგად, დღეს გალის რაიონში სოფელი „პირველი გალი" ყველაზე ლამაზად გამოიყურება. მისი იმედით დარჩენილმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა ენგურჰესის კასკადი გადაარჩინეს. ამ სტრიქონების ავტორის ოჯახი ერთი წელი ოჯახში შეიფარა და დაამკვიდრა აფხაზეთში.

ადამიანობისა და კაცობის ამ მაღალი გაგების მატარებელი პიროვნება მარადისობის ბინადარი იქნება ზეციურ საუფლოში აწ და მარადის!

***ნათესავების, მეგობრებისა და მეზობლების სახელით,***
***რაჟდენ ქარდავა***

დავით გვაძაბია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს და სამძიმარს უცხადებს ძმებს თემურ ზანთარაიასა და ვალერი ხუბულავას დის

**რუსუდან ხუბულავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტოკიოს კომერციულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 2. ძალიან იშვიათი ნივთი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი ფირმა; 4. ლეშის მჭამელი აფრიკული გარეული ცხოველი; 5. საწვავისა და ბალასტის ავზები გემზე; 8. თვალის რქოვანა გარსის ანთება; 12. ხის ქოშები; 13. სამეცნიერო დაწესებულება; 14. ძველი საბუთების საცავი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 20. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი.

**თარაზულად:** 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნიანი ვაზის ქართული ჯიში; 9. აეროპორტი პარიზში; 10. კალათბურთის გამომგონებელი ამერიკელი პედაგოგი; 11. კოსმოდრომი რუსეთში; 15. შუშხუნა ღვინოების დასაყენებელი სპეციალური რეზერვუარი; 17. ზღვისპირა კურორტი პოლონეთში; 19. ესპანელი ფერმწერი; 21. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 22. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 23. ოდესის ძველი სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ოჯალეში; 2. ტულუზა; 3. ბერიკაობა; 4. შანელი; 5. შენგელია; 7. გეთი; 11. ტელფერი; 13. სუნიზმი; 15. პუნში; 16. მაშია; 18. საბზა; 19. კიაზო.

**თარაზულად:** 6. ჯუნგლი; 8. გურიელი; 9. მანიანი; 10. ერლიფტი; 12. კაშია; 14. ნიკელი; 17. ბონისტიკა; 20. იკებანა; 21. უშგული; 22. ზარზმა; 23. მაკარტნი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლახვარი. 2. კაკაბაძე; 3. თარჩია; 4. გერბი; 5. ვირტუოზი; 8. სახარება; 12. კოკი; 13. რამაიანა; 14. ორძელი; 16. ლოსიონი; 18. კინტო; 20. ქოცო.

**თარაზულად:** 6. ნაფტუსია; 7. აგასფერი; 8. სალაპი; 9. ქააბა; 10. ტალავარი; 11. კონკლავი; 15. კარაბინერი; 17. კიმონო; 19. ლენქორანი; 21. ჰამსუნი; 22. იაკიტორია; 23. ჰორმონი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9754

ევრო — 3.2750

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8326

100 რუსული რუბლი — 4.6397

## ამინდის პროგნოზი 28 ნოემბერი








## 26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

# საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## კოკო როინიშვილი „მთავარი არხის“ წამყვანი გახდა



მსახიობი და ახალბედა რეჟისორი კოკო როინიშვილი ახლა ტელეწამყვანიც გახდა. მას შემდეგ, რაც მსახიობმა მარჯანიშვილის თეატრში დადგა გოგოლის „შინელი“ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა, სულ მალე „მთავარი არხის“ დილის გადაცემის“ წამყვანის ამპლუაშიც ვიხილავთ:

– რას ნიშნავს ჩემი დილა? ყოველთვის ახლის საწყისია. ახალი შანსი. ყოველთვის მიყვარდა გათენება, წამი, როდესაც ყველაფერი იცვლება. სიბნელეში იბადება ნათელი და ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს მკარნახობს, რომ რამე ნეგატიურს აუცილებლად შეცვლის პოზიტიური, ცუდ განწყობას – ხალისი, ბნელს – ნათელი.

ყველა მეუბნება, რომ დილას ადრე გაღვიძება გამიჭირდება. ალბათ... მაგრამ წარმოვიდგენ, რომ „შენი დილის“ დახმარებით უფრო ხშირად ვნახავ გათენებას და მიხარია, ვგრძნობ, რომ ახალ სამყაროში შევდივარ, სრულიად უცხო სამყაროში.

ვნერვიულობ, მაგრამ ეს ის ნერვიულობაა, რომელიც აუცილებლად გაამართლებს. გამიმართლებს.

## ჩრდილების თეატრი სპექტაკლს ბრიუსელში გამართავს



7 დეკემბერს ჩრდილების თეატრი ბრიუსელში სპექტაკლს გამართავს.

ქართველი მსახიობები მაყურებლის წინაშე მსოფლიოში ცნობილ მანდოლინისტ ავი ავიტალთან და ვენეციის ბაროკო ორკესტრთან ერთად წარდგებიან.

ეს იქნება კონცერტი წარმოდგენით „ვივალდი ჩრდილების სამყაროში“. ღონისძიება ბრიუსელის დახვეწილი ხელოვნების ცენტრში, ბოზარის საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იურგენ კლოპი: „წლის საუკეთესო ვან დეიკია“



ორშაბათს გავიგებთ, თუ ვინ გახდება „ოქროს ბურთის“ მორიგი გამარჯვებული. მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა ჯილდოს მოგების 30 კანდიდატის ვინაობა, მაგრამ მთავარ პრეტენდენტებად მაინც ვირჯილ ვან დეიკი, კრიშტიანუ რონალდუ და ლიონელ მესი ითვლებიან.

როგორც იცით, უეფამ წლის საუკეთესო მოთამაშედ ჰოლანდიელი მცველი დაასახელა, ფიფამ კი არგენტინელი თავდამსხმელი გამოარჩია.

ამ თემაზე კომენტარი ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა გააკეთა:

– თუ ამ ჯილდოს თაობის საუკეთესო ფეხბურთელს აძლევთ, მაშინ მას ყოველთვის ლიონელ მესი იმსახურებს, მაგრამ, თუ თქვენ განვლილი სეზონის საუკეთესო მოთამაშე უნდა გამოარჩიოთ, მაშინ ეს ვირჯილ ვან დეიკია. ამ საკითხს სწორედ ასე ვუყურებ. ასე რომ, ყველა დროის საუკეთესო? – ეს მესია. გასული წლის საუკეთესო მოთამაშე? – ეს ვირჯილია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი



### 28 ნოემბრისათვის

**ვერძი** – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. **კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი ბუნების წიაღში გაატარეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და სულიერი ძალები აღიდგინოთ. საღამო ოჯახის წევრებს მიუძღვენით. **ლომი** – ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. პრიორიტეტი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მიანიჭეთ. **ქალწული** – იყავით დამთმობი. თხოვნაზე უარს, შეძლებისდაგვარად, ნურავის ეტყვით. **სასწორი** – დაუფიქრებლობა და აჩქარება ფინანსურად დაგაზარალებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **მორიელი** – წარმატების გასაღები საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში დევს. დაეხმარეთ ადამიანებს. **მშვილდოსანი** – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სულაც დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – ნებისმიერი საქმე დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ავადმყოფი ექიმს ეუბნება:
– ექიმო, მკურნალობისთვის ფული აღარ დამრჩა.
– ძალიან კარგია, რომ უკვე გამოჯანმრთელდით.

•••

პირველკლასელებს მასწავლებელი მიმართავს:
– აბა, ბავშვებო, შეინახეთ თქვენი სმარტფონ-ტელეფონები, შეწყვიტეთ მესიჯების გაგზავნა. დღეს ჩვენ უნდა ვისწავლოთ ასო „ა“.

•••

კბილის ექიმი:
– ნუ გეშინია, გივი, პირველად ყველაფერი შეიძლება მოხდეს.
– ექიმო, მე გივი არ მქვია.
– ვიცი, გივი მე ვარ...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– იარაღი მომეცი, ჩემი მეზობელი უნდა მოვკლა!
– რატომ?
– უკვე ყელში ამომივიდა, სათევზაოდ რომ მივდივარ, ის ნაძირალა ჩემს ცოლთან მიდის, სახლში რომ ვბრუნდები, ჩემი ბადეებიდან თევზს იღებს!!!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:
– სეროჟ, იცი, გევორქას ექიმმა მკაცრი დიეტა დაუნიშნა.
– მართლა? მაშინ შეგვიძლია, სადილზე დავპატიჟოთ.

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:
– ძვირფასო, წყნარი ოკეანე გაგიგია?
– კი, გამიგია.
– ის მე შენთვის დავაწყნარე.

•••

ეგვიპტისა და თურქეთის ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებას მოსთხოვა, რომ რუსმა ტურისტებმა საზღვარგარეთული პასპორტებისთვის სურათები მთვრალებმა გადაიღონ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ჟოზე მოურინიო: „ჩემი ფეხბურთელების ბოლომდე მჯეროდა“



ტოტენჰემმა საკუთარ მოედანზე ოლიმპიაკოსი მიიღო და დაამარცხა ანგარიშით 4:2, მაგრამ პირველ ტაიმში მოურინიოს შეგირდები 0:2-ს აგებდნენ.

ჟოზემ განაცხადა, რომ სჯეროდა თავისი შეგირდების და იცოდა, რომ ისინი შეძლებდნენ გამარჯვებას:

– ძალიან რთულ შეხვედრაში შევძელით მოგება და ეს გამარჯვება თავდაჯერებულობას მოგვიტანს. მინდა, ყველა ჩემს ფეხბურთელს მადლობა გადავუხადო. მათთან ერთად წინ ბევრი კარგი რამ გველის.

მოურინიო ტოტენჰემის მწვრთნელი ერთი კვირის წინ გახდა და უკვე 2 შეხვედრა მოიგო.

## ედენ აზარმა პსჟ-სთან ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის ბელგიელმა ვარსკვლავმა ედენ აზარმა პსჟ-სთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

თავდაპირველად ტრავმა სერიოზული ჩანდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, აზარი მხოლოდ ორ კვირას გამოტოვებს და დეკემბრის შუა რიცხვებში მოედანზე დაბრუნდება.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აზარი შეძლებს ბარსელონის წინააღმდეგ თამაშს, რადგან ეს შეხვედრა 18 დეკემბერს გაიმართება.

რეალისა და პსჟ-ს დაპირისპირება 2:2 დასრულდა.

## მესი 2021 წელს ბარსელონას დატოვებს?



ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2021 წლის ბოლოს მესი ბარსელონას დატოვებს და არგენტინაში წავა სათამაშოდ, კერძოდ კი – ნიუელ ოლდ ბოისში, რომელიც მესის მშობლიური გუნდია.

ამ ინფორმაციას არც ბარსელონა და არც მესი არ ადასტურებენ, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში მესიმ თქვა, რომ კარიერის დასრულება არგენტინაში სურს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## 23 წლის ფიტნესმოდელი სახლში მოკლული იპოვეს



მექსიკელი ფიტნესმოდელი და მწვრთნელი ალონდრა ვილიასენო ქალაქ ტიხუანაში საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

23 წლის გოგონას ცხედარი დედამისმა მას შემდეგ აღმოაჩინა, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა მასთან დაკავშირებას. მას სხეულზე რამდენიმე დანით მიყენებული ნაიარევი, ხოლო თავზე ნატყვიარი ეტყობა. დანაშაულის ადგილზე ასევე იპოვეს ორი ტომარა მარიხუანა და 9-მილიმეტრიანი ტყვია.

დანაშაულის მოტივები უცნობია. მოწმეებმა განაცხადეს, რომ გოგონას სახლიდან გამომავალი მამაკაცი დაინახეს, რომელიც ავტომობილში ჩაჯდა და გაემგზავრა.

აღსანიშნავია, რომ ალონდრა ვილიასენო ადგილობრივ სპორტულ დარბაზში მწვრთნელად მუშაობდა, ინტერნეტში კი ის ცნობილი ვიდეოების წყალობით გახდა, რომელშიც საკუთარ ვარჯიშებზე საუბრობდა.

## კლინსმანი ჰერტას მთავარი მწვრთნელი გახდა



სენსაციურ და საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს გერმანული მედია – იურგენ კლინსმანი „დიდ ავიაციაში“ ბრუნდება. 55 წლის გერმანელი სპეციალისტი ჰერტას ახალი მწვრთნელი იქნება! ბერლინელებმა ეს ინფორმაცია დაადასტურეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჰერტამ ხორვატი სპეციალისტი ანტე ჩოვიჩი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა. მისი ხელმძღვანელობით ჰერტამ 12 თამაშში 11 ქულა მოიპოვა და მე-15 ადგილი ბერლინელებისთვის ზედმეტად საგანგაშო შედეგი იყო.

კლინსი, რომელიც გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის ყოფილი მწვრთნელია, ჰერტაში მინიმუმ სეზონის ბოლომდე იმუშავებს. გერმანული მედიის ინფორმაციით, მისი ასისტენტები ალექსანდერ ნოური და მარკუს ფელდჰოფი იქნებიან.

კლინსმანს ბერლინში რამდენიმე კვირის წინ უხმეს და სამეთვალყურეო საბჭოში დანიშნეს. მისი მისია ჩოვიჩთან ერთად მუშაობა იყო, მაგრამ აუგსბურგთან 0:4-ის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებმა ხორვატი სპეციალისტი გაუშვეს და მთავარ მწვრთნელად კლინსმანი დანიშნეს. შეგახსენებთ, რომ ჩოვიჩი ჰერტას თავკაცად ზაფხულში დაინიშნა და მან ამ თანამდებობაზე პალ დარდაი შეცვალა.

კლინსმანი გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2004-დან 2006 წლის ზაფხულამდე მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით ბუნდესგუნდმა 2006 წლის მუნდიალზე მე-3 ადგილი დაიკავა. 2008-09 წლებში კლინსმანი ბაიერნის დამრიგებელი იყო, 2011-დამ 2016 წლამდე კი აშშ-ის ნაკრებს ავარჯიშებდა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. იტალიის ნავსადგური ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე; 2. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში; 3. ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 4. ხელოვნების, მეცნიერების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 5. რამის შესწორება, გასწორება; 7. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრაზილიელი ავტომრბოლელი; 11. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 13. სატირული ხასიათის მიბაძვა; 15. ღვინის სასმისი; 16. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 18. ბამბის უხეში ქსოვილი, მიტკალი; 19. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი.

**თარაზულად:** 6. ქალაქი საფრანგეთში, სადაც ტარდებოდა მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 8. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 9. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდის პარკში; 10. სანადირო თოფით სასროლი წვრილი ტყვია; 12. ყვითელი ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 14. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 17. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 20. გემოს შეგრძნების უნარის დაკარგვა; 21. მკბენარა მწერი; 22. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 23. გეომეტრიული ფიგურა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*